cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუერთის გაფანა ყველა უკარისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 13 იანვარი. 2016 წ. №6 (7898), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში, სხვასან ვერ ნახავ!..

გაზეთ-ნაციონალების გასაგონად!

„გაზპრომთან“ შეხვედრაზე კახა კალაძესთან ერთად ბერა ივანიშვილი თავისი დრამერებით იმყოფებოდა...

ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, დღეს არც ერთი ქვეყანა საფასურის სახით ბუნებრივ აირს არ იღებს და კახა კალაძე მიიჩნევს, რომ საქართველო „გაზპრომს“ ტრანზიტის საფასურის ფულად ანაზღაურებაზე უნდა დათანხმდეს.

მინისტრის განმარტებით, ამ ეტაპზე „გაზპრომთან“ ხელშეკრულება ვადაგასულია და ბუნებრივი აირი, „ფაქტობრივად, არასანქცირებულად მოგვაქვს“.

კალაძის მტკიცებით, დღეს მის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობისა და მასთან დაახლოებული ექსპერტების მიერ აგორებულია შავი კამპანია. თუმცა, ყველაფერს მოახერხებს, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის პრობლემა არ იყოს.

ენერგეტიკის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ დამატებითი მოცულობის გაზის წამოღების შემთხვევაში, ბუნებრივ აირზე ფასი იქნება კიდევ უფრო დაბალი.

„თუ ჩვენ წამოვიღებთ დამატებით კიდევ უფრო მეტ მოცულობებს, ბუნებრივ აირზე ფასი იქნება გაცილებთ დაბალი, ვიდრე დღეს არის, თუმცა, ჩვენ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ თემას არ განვიხილავთ. მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტზეა საუბარი და ჩვენ გვინდა, რომ დავაკმაყოფილოთ მხოლოდ და მხოლოდ ის დეფიციტი, რომელიც ბაზარზე გვაქვს. ეს არის 300-დან 400 მილიონამდე“...

* * *

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც გაზპრომთან მოლაპარაკებებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვაჟი ბერა ივანიშვილიც ესწრებოდა, ასე გამოეხმაურა:

„შეხვედრებზე ვიყავით მე, ბერა ივანიშვილი, თავისი დრამერები. მარჯვნიდან მერაბ სეფაშვილი იყო და მარცხნიდან ნუცა ბუზალაძე“...

კახა კალაძის გუშინდელი განცხადებით, მიმდინარე წელს, საქართველოს მოუწევს დაახლოებით 300-400 მილიონ კუბურმეტრიანი დეფიციტის შევსება რუსული გაზით.

ყოველწლიურად საქართველოს სჭირდება დაახლოებით 2 მილიარდ 500 ათასი კუბური მეტრი გაზი, საიდანაც, კალაძის თქმით, ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 90% მოდის აზერბაიჯანულ მოწოდებაზე, დანარჩენ ნაწილს კი რუსული გაზი ავსებს.

მისივე მტკიცებით, ჯერჯერობით არც ერთ მილსადენს, რომლითაც საქართველოში აზერბაიჯანული გაზი შემოდის, არა აქვს დამატებითი მოცულობის გატარების საშუალება.

„ყოველდღიურად ჩვენ გვიწევს დაახლოებით, 11 მილიონზე მეტი კუბური მეტრი გაზის შემოტანა მილსადენიდან, რომელსაც „სოკარი“ საქართველოს აწვდის, ეს არის 6 მილიონი მოცულობა, რომელსაც დღეს ისინი ატარებენ. ფიზიკურად შეუძლებელია მეტი დამატებითი მოცულობები იქნას გატარებული“.

ხელშეკრულება „გაზპრომთან“ მხოლოდ ერთი წლით ფორმდება!

სოკარ აირზადე.

◎ ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

დამოუკიდებელი დეპუტატობა ნუთუ სინდის-ნამუსისგან დამოუკიდებლობასაც ნიშნავს?!

— ენა ჩემი მტერია ჩემიო, — ეს გამოთქმა ზედგამოჭრილია ჯერ კიდევ „კავკასიაში“ ენაგაჭარტალებულ ელისაანთ ბიჭზე.

— ნამდვილად დაღალა საზოგადოება მაგისმა ბოროტმა ჭორაობამ. დადე საბუთი, დადე მტკიცებულება, შე ვიღაც მამაძაღლ უხილავზე დამოკიდებულო დამოუკიდებელო და დაამთავრე. როდემდე უნდა აწვალო შენი ავად გადეპუტატებული თავიც და ამდენი ხალხიც!

— თვითონ რა უჯდება სახელმწიფოს ეგ და ბევრი მაგისთანა ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი დეპუტატი, ეს მაგას არ ანაღვლებს. პირიქით, ეგ თურმე იმაზე დარდობს, რომ პროკურატურა სამარცხვინო დუქანია და თან რამხელა თანხა გვიჯდება ამ არაფრის მაქნისი დაწესებულების შენახვა.

— ისე, მართალი თუ გინდა, ნამდვილად დროა, ჩვენმა პროკურატურამ, როგორც იტყვიან, ბოლოს და ბოლოს, ყველას დაანახვოს, რომ დუქანი ნამდვილად არ არის და მაგ უსაქმურ ელისაშვილსაც და მაგისთანა მუქთახორა მაღინდარებსაც ჭკუა ასწავლოს. თუ, რასაკვირველია, სინდის-ნამუსთან ერთად ამ გათავხედებულ მაღალხელფასიანებს ჭკუაც არ დაუკარგავთ.

— ეგ, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ისიც ნამდვილად გაუგებარია, ასე უჩუმრად, უფრო სწორად ასე ხმის ამოუღებლად რატომ ესარჩლება ამ ტაკიმასხარა დამოუკიდებელ დეპუტატს თვითონ ქვეყნის პრეზიდენტი? იმიტომ ხომ არა, რომ დროზე ადრე და, როგორც ჩანს, უკანონოდ, შეწყალებული ჰყავს საკუთარი ცოლისძმა?!

ამ შემთხვევაში იმასთან ხომ არა გვაქვს საქმე, ნათქვამი რომ არის, ხელი ხელსა ჰბანს, ორივე ერთად კი პირსაო!

— არ ვიცი, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, თუ ქვეყნის პრეზიდენტსაც შეუძლია ვინმესთან ერთად, თუნდაც საკრებულოს ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ დეპუტატთან ერთად, ცოტა არ იყოს, შემწიკვლული პირის დაბანა!

— ღმერთმანი, მთელ ამ სკანდალურ ამბავს კარგა გვარიანად მყრალი ნაციონალური სუნი უდის.

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

ქვეყანა ღარიბდება, ბანკები კი მდიდრდებიან! 4

საქართველო, როგორც იქნა, „თეთრებით თამაშობს“ 6

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.419; ევრო - 2.636;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.525;
100 რუბლი - 2.208; თურქული ლირა - 0.801;
აზერბაიჯანული მანათი - 1.512;
1000 სომხური დრამი - 5.007

ამინდი 13 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +10
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +12
თბილისი:	ღამე +3,	დღე +13

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

ქართველ ამომრჩეველს ისევ ცუდსა და უარესს შორის არ უნდა ჰქონდეს არჩევანი

საძართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ მომავალი არჩევნებისთვის მთავარია ხალხს ისევ ცუდსა და უარესს შორის არ ჰქონდეს არჩევანი. გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „გურჯაანის“ ეთერში საუბრისას ასევე განაცხადა, რომ საარჩევნო სისტემა უნდა გადავიდეს უფრო გაშლილ სივრცეში.

„აქ არ არის ლაპარაკი ხელისუფლების ცვლილებაზე. დღეს უკვე ლაპარაკია დემოკრატიის გაღრმავებაზე. მიზანი ის კი არ არის, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია გავიდეს და რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტია მოვიდეს ხელისუფლებაში, დღეს მიზანი არის ის, რომ ქართველ ამომრჩეველს არ ჰქონდეს ცუდსა და უარესს შორის არჩევანი, ანუ ის ორპოლუსიანი სისტემა, სადაც ერთი იყო გადამრჩენელი და მეორე დამანგრეველი და დამანგრეველი უნდა შეეცვალა გადამრჩენელს, შემდეგ როლები იცვლებოდა და შავსა და თეთრს შორის იყო საუბარი. ეს სისტემა უნდა გადავიდეს უფრო გაშლილ, უფრო ევროპულ სისტემაში და ეს ნათლად ასახავს დემოკრატიულ პროცესს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე შეფასებით, პრემიერების გადადგომა ნორმალური სამთავრობო ფუნქციონირების პროცესია.

„ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, იქნება ის ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში, მიზნად ისახავს ხელისუფლებაში მოსვლას, ან ხელისუფლების შენარჩუნებას. ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმის თაობაზე, რა გზებით ხდება ყოველივე ეს. არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია არა ის, ხელისუფლება მოიგებს თუ წააგებს, არამედ ის, რომ ყველა მოთამაშე მხარე, ან სარჩევნო პროცესის ყველა აქტორი, იქნება ეს პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ ქართველი საზოგადოება, იყოს თანახმა თამაშის წესებზე. დღეს ჩვენ ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ. აქედან გამომდინარეა ჩემი პოზიციაც, რომ როდესაც ჩვენ გვაქვს სრული კონსენსუსი იმაზე, რა არის უკეთესი, გაუგებარია, რატომ არ უნდა დავაყენოთ ეს კონსენსუსი დღეს. ამასთან ერთად, ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები თავისთავად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. პირველი პრემიერის გადადგომა, მეორე პრემიერის გადადგომა, უკავშირდება ნორმალურ სამთავრობო ფუნქციონირების რეჟიმს, რადგან როდესაც პოლიტიკური გუნდი ფიქრობს, რომ მას უკეთესად შეუძლია გადაწყვიტოს საკითხები სხვა კომპოზიციით, ან როცა რომელიმე პოლიტიკური პირი თვლის, რომ მას უნდა, რომ რაღაც პერიოდი გვერდზე გადგეს, ეს არის აბსოლუტურად ნორმალური და დემოკრატიული“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

პრემიერს ჩინეთიდან და ევროპიდანაც ულოცავენ

ჩინეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, უკრაინის პრემიერ-მინისტრები და მოლდოვას პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ულოცავენ.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა კოლეგების მისალოცი წერილები მიიღო. პრემიერ-მინისტრები გიორგი კვირიკაშვილს წარმატებულ საქმიანობას უსურვებენ და საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების იმედს გამოთქვამენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ლი კეციანი ხაზს უსვამს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განმტკიცების მნიშვნელობას და გიორგი კვირიკაშვილთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს.

გიორგი კვირიკაშვილს წარმატებულ საქმიანობას უსურვებენ და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას უდასტურებენ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი და საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიარტო.

საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე და რეფორმების განხორციელების პროცესში მხარს უჭერს ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი. ბოჰუსლავ სობოტკა იმედოვნებს, რომ ქართველ კოლეგას, უახლოეს მომავალში, პრაღაში უმასპინძლებს.

SOS!

თქვენი ჩარევა აუცილებელია!..

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

თქვენდამი რწმუნებულ სამინისტროში გასული წლის 1 დეკემბერს შემოვიდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან გადმოგზავნილი ჩვენი წერილი №118474, რომელიც ეხებოდა თირკმელგადანერგილი პაციენტების მიერ ძვირადღირებული (თვეში 360 ლარი) წამალ ცელცეპტის შეძენის საკითხს; კერძოდ, იმ გარემოებას, რომ სამინისტროს დადგენილი წესით ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ პაციენტების ნაწილს ოჯახის ბიუჯეტიდან უხდებათ წამლის შეძენა, რაც მძიმე ტვირთად აწვებათ. ვითხოვდით განმარტებას, შენარჩუნდებოდა ეს წესი 2016 წელსაც თუ შეიცვლებოდა, როგორც ამას გვპირდებოდა 2015 წლის ბოლოს სოციალური მომსახურების სააგენტო? წერილი განიხილა მინისტრის მოადგილემ ბატონმა სოფრომაძემ და გადაუგზავნა დეპარტამენტს რეზოლუციით „მომელაპარაკეთ“: ალბათ, მოლაპარაკება მეტად მძიმედ მიმდინარეობს, რადგან დღემდე პასუხი არ მიგვიღია.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ხდება პაციენტების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა, ზოგი უფასოდ ღებულობს ამ წამალს ოპერაციიდან 6 თვის შემდეგაც, იმ დროს როცა ყველა პაციენტისათვის ერთნაირად აუცილებელია ამ მედიკამენტის მიღება, მისი მიუღებლობა იწვევს ტრანსპლანტის ფუნქციონირების გაჩერებას. ზოგიერთები ახერხებენ სამინისტროს, მერიის თუ რაიონული გამგეობებიდან წამლის წლიური ნორმის დაფინანსებას. რჩება მცირე ნაწილი „უპატრონო“ პაციენტებისა, რომლებსაც უხდებათ წამლის შეძენა თავიანთი სახსრებით, რატომ იყიდება წამალი მხოლოდ პსპ-ს აფთიაქებში? იქაც რამდენიმე კოლოფი რომ შეიძინო, სოციალური მომსახურების სააგენტო უნდა ჩაერიოს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორმილიარდიან ბიუჯეტში ნუთუ არ მოიძებნა მაქსიმუმ რამდენიმე ათეული პაციენტისათვის წამალ ცელცეპტის დასაფინანსებელი სახსრები? ერთ პაციენტს წელიწადში 4560 ლარი სჭირდება. თირმკლის გადანერგვის შემდეგ პაციენტი ეთიშება დიალიზის პროცესს და ავტომატურად მცირდება დიალიზისთვის საჭირო საბიუჯეტრო სახსრები თვეში მიახლოებით 1000 ლარით. დავუშვათ, ასე არ არის, ის ხომ შეიძლება, საბიუჯეტო სახსრები თანაბრად გაუნაწილოთ პაციენტებს. სამინისტროს კანონქვემდებარე აქტით დადგინდეს თირკმელგადანერგილი პაციენტებისათვის წამლის ნორმა, რომელიც ყველა პაციენტს მიეცემა უფასოდ. არ იქნება ჩაწყობები, ტელეფონის ზარები. არ ვიქნებით დამოკიდებული ცალკეული მოხელეების „კეთილგანწყობებზე“. სამინისტროს თანამშრომლები, ალბათ, მეტროთი არ მგზავრობენ, თორემ ნახავდნენ დიალიზზე მყოფი პაციენტების მშობლები თუ ახლობლები, როგორ აგროვებენ თირკმლის გადასანერგად საჭირო თანხებს. ამ ადამიანებმა ხომ უნდა იცოდნენ, რომ ოპერაციის შემდეგაც დასჭირდებათ თვეში 360 ლარი წამლის შესაძენად.

ბატონო დავით, ამ სფეროში ყველაფერი რიგზე ვერ არის, თქვენი ჩარევა აუცილებელია. გთხოვთ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მისამართზე მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ.

თირკმელგადანერგილი პაციენტი

უჭირს მეზობელს, გვიჭირს ჩვენც!

მნიშვნელოვანი დარტყმა ქართულ ტურისტულ ინდუსტრიაზე

აზერბაიჯანში შექმნილი სავალუტო კრიზისი საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის — ბაკურიანსა და გუდაურში აზერბაიჯანელი ტურისტების ნაკლებობა უკვე შეიმჩნევა.

ეს კი, სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებული პრობლემების შემდეგ, მეორე მნიშვნელოვანი დარტყმაა ქართულ ტურისტულ ინდუსტრიაზე, განსაკუთრებით ზამთარში: ტრადიციულად, ზამთრის სეზონზე ბაკურიანში დამსვენებლების 80-90 პროცენტს აზერბაიჯანელები შეადგენდნენ და საოჯახო სასტუმროების შემოსავლები ძირითადად მეზობელი ქვეყნის ვიზიტორებზე იყო დამოკიდებული, წელს ამ მხრივ ვითარება შეიცვალა. „კომერსანტის“ მიერ გამოკითხულ სასტუმროებში ტურისტების შემცირებაზე საუბრობენ. ამის მიზეზად, აზერბაიჯანელი დამსვენებლების სიმცირე სახელდება, რაც, თავის მხრივ, აზერბაიჯანში მანათის 50%-იანი გაუფასურებითაა გამოწვეული.

სასტუმრო „ვერე პალასი ბაკურიანის“ მენეჯმენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ტურისტები შედარებით ნაკლებად ატარებენ საახალწლო პერიოდს ბაკურიანში, ვიდრე გასულ წელს. მათი თქმით, სასტუმროს ძირითადი კლიენტურა აზერბაიჯანიდან იყო, თუმცა, მეზობელი ქვეყნიდან წელს ვიზიტორების ნაკადი შემცირდა, ასევე შემცირებულია ქართველი დამსვენებლების რაოდენობაც.

როგორც მენეჯმენტი აცხადებს, მეზობელი აზერბაიჯანიდან ტურისტების შემცირების

მიზეზი, სავარაუდოდ, ეკონომიკური კრიზისია, რაც ავტომატურად მათ შემოსავლებზეც აისახა.

სასტუმროში ერთადგილიანი ნომრის ღირებულება 100 დოლარია, გაუმჯობესებული ნახევრად ლუქსის ღირებულება კი 300 დოლარს შეადგენს.

აზერბაიჯანელი ტურისტების მკვეთრ შემცირებაზე საუბრობენ სასტუმრო „ევროპა ბაკურიანშიც“. მათი ინფორმაციით, თუ გასულ წლებში სასტუმროს ძირითად კონტინგენტს აზერბაიჯანელი დამსვენებლები შეადგენდნენ, წელს მდგომარეობა შეიცვალა. სავალუტო კრიზისის გამო, აზერბაიჯანელ ტურისტებს აღარ აქვთ გართობისა და დასვენების საშუალება, რაც ძალიან ცუდად აისახა ბაკურიანში არსებულ სასტუმროებზე.

რაც შეეხება ქართველ დამსვენებელს, მათი განცხადებით, ეს სეგმენტიც შემცირებულია. სასტუმროში აცხადებენ, რომ ვისაც ფული და დასვენების საშუალება ჰქონდა, ბინები ბაკურიანშიც იყიდა და სასტუმროში ფულს აღარ ხარჯავს. „ვისაც ცოტა საშუალება გაუჩნდა, ყველა ბაკურიანელი გახდა, ასე რომ, წელს სეზონი არც თუ კარგია“, — აცხადებენ სასტუმრო „ევროპა ბაკურიანში“.

მათი ინფორმაციით, სასტუმროში 1-ადგილიანი ნომრის ღირებულება 90 ლარიდან იწყება.

სასტუმრო „რიწას“ მენეჯმენტის ინფორმაციით, აზერბაიჯანში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, მეზობელი ქვეყნის მოქალაქეები თავს იკავებენ ბაკურიანში დასვენებისგან. მათი თქმით, თუ ადრე ანალოგიურ პერიოდში სასტუმროს კლიენტთა 80 პროცენტი აზერბაიჯანელები იყვნენ, წელს მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ამ დრომდე სასტუმრომ მხოლოდ 5 აზერბაიჯანულ ოჯახს უმასპინძლა.

იმავე ინფორმაციით, საგრძნობი კლებაა ქართველ ტურისტებშიც. ფასები ერთ ადამიანზე 55- 60 დოლარიდან იწყება.

იმავე ტენდენციას ადასტურებს „ოტელ აპარტამენტების კომპანიის“ დამფუძნებელი მაია მაჭარაშვილიც. აზერბაიჯანელი დამკვეთების მხრიდან, სწორედ მანათის გაუფასურება გახდა მათთან რამდენიმე საახალწლო ჯავშნის გაუქმების მიზეზი.

შეგახსენებთ: 21 დეკემბრიდან, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი მანათის „მცურავ კურსზე“ გადავიდა. შედეგად, მანათი ერთ დღეში ევროსა და დოლართან მიმართებაში თითქმის 50%-ით გაუფასურდა. ქვეყანაში სავალუტო კრიზისია — გავრცელებული ინფორმაციით, 7 იანვარს აზერბაიჯანის ბანკებმა შეწყვიტეს ვალუტის გაყიდვა, დაწესდა შეზღუდვები დოლარისა და ევროს გადაცვლაზე.

Commersant.ge

მართალი სამართლის იმედით და მოლოდინში,

ანუ რა ღირს მართლმსაჯულება ყველასთვის?!

საქართველოს პრეზიდენტს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლეთა კოლეგიას

1938 წლის იანვარში მამაჩემი, მოსე ჭყონია, 35 წლის ასაკში დააპატიმრეს, ბრალად ტროცკისტული ორგანიზაციის წევრობა, 400 ჩაის ბუჩქის განადგურება დასდეს და, „ტროიკის“ გადაწყვეტილებით, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს. მანამდე იგი, პროფესიით აგრონომი, „საბჭოთა სამშობლომ“ მოსკოვის ტიმირიაზევის ინსტიტუტის ასპირანტურიდან გამოითხოვა და ჯერ ალაზნის, შემდეგ კი მახინჯაურის მეურნეობის დირექტორად დაინიშნა. 400 ჩაის ბუჩქი... ასე მარტივად, ყოველგვარი თავის ატკიების გარეშე, უაპელაციოდ მიესაჯა ადამიანს სიკვდილი. ეს თითქმის 80 წლის წინათ იყო ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, სადაც მილიონობით ადამიანმა იწვნია, რა იყო მართლამსაჯულება ყველასათვის. და ეს სამართალი ძალიან ძვირი — ადამიანის სიცოცხლის ფასი ღირდა.

შემდეგ იყო დამოუკიდებელი საქართველო, ოცნებები, მოლოდინი, ქაოსი, ისევ უსამართლობა, ლაპარაკი დასავლურ ღირებულებებზე, გამჭვირვალობაზე, რეფორმებზე, ისევ სამართალზე, დამოუკიდებელ სასამართლოზე და შედეგი — ნეობოლშევიზმი, გადავსებული ციხეები, საპროცესო შეთანხმებები, გამამტყუნებელი განაჩენების უპრეცედენტო რიცხვი, დასადგურებული შიში, უიმედობა... მაშინდელმა „სახელმწიფო მამებმა“ გადაწყვიტეს, რომ თემიდა საქართველოში ბრმა მხოლოდ იმიტომ იყო, რომ არაფერი დაენახა, ხოლო სასწორი მის ხელში, მხოლოდ იმდენს წონიდა, რამდენსაც „ახევდნენ“ თავისი ქვეყნის გამწარებულ შვილებს, უკეთეს შემთხვევაში — ხაზინის და, ძირითადად, საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად. ესეც ჩვენებური „ქმნა მართლისა სამართლისა“..

ვეღარ მოვითმინეთ.. შეურაცხყოფილები ვიყავით, უსამართლობა გვახრჩობდა, სამართალს ვეძებდით და გავიმარჯვეთ. ამჯერად მართლა იმის მოლოდინში, რომ სამართალი იზეიმებს, რომ სასამართლო მართლა დამოუკიდებელი იქნება, არა მარტო სახელმწიფოს ჩარევისაგან, არამედ კონკრეტული პირების ზეწოლისაგანაც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვფიქრობდით, წესიერი ადამიანები, რომლებიც, მჯერა, ისევ არიან ამ ქვეყანაში.

და ახლა ჩემი მიმართვის ძირითად საკითხს მივადექი.

1998 წლიდან ვფლობ საგურამოში მიწის ნაკვეთს. 2010 წელს საჯარო რეესტრმა, კანონის სრული დაცვით, ეს ნაკვეთი ჩემს — მარინე ჭყონიას საკუთრებაში დაარეგისტრირა. ნაკვეთი არასოდეს ყოფილა გალავანშემორტყმული (თურმე უნდა ყოფილიყო), ამისთვის არც თანხები იყო და, ალბათ, საბჭოთა ინტელიგენტის მენტალიტეტიც მუშაობდა. 2015 წელს კი სრულიად შემთხვევით გავარკვიეთ, რომ ნაკვეთი დაყადაღებულია. შემდეგ უწყებაც მივიღეთ. საქმე სასამართლოშია უკანონო რეგისტრაციის გამო. მოპასუხე — საჯარო რეესტრი, მომჩივანი, ვინმე გ. ჯამარაული, ჩვენ მესამე მხარე ვართ. თუმცა, დავის საგანი ჩემს, მარინე ჭყონიას სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთია. მომჩივანი ფეხბურთელია, თურმე კარგი ფეხბურთელი. არ მინდა მაინცდამაინც გავლანძღო, ჩემი შვილების ასაკისაა. მაინც მგონია, თავის დროზე შეცდომაში შეიყვანეს. განუკითხაობა იყო. 2002-ში უყიდია, ფარატინა ქაღალდი აქვს იმდროინდელი. 2015 წლამდე მას ნაკვეთის დარეგისტრირება არც უცდია. ურიგო ფეხბურთელი არ იყოო, თუმცა, შრომაც დაუფასდა, რამდენიმე სხვა მიწის ნაკვეთის მფლობელია, მათ შორის საგურამოშიც. ღმერთმა კეთილად მოახმაროს ყველაფერი, რაც თავისი შრომით მოიპოვა და სხვისთვის არ წაურთმევია. მაინც კარგი დროა, ვიღაცას რაღაც უფასდება. დედაჩემი 2003 წელს გარდაიცვალა, გასამხედროებული ექიმი იყო, II მსოფლიო ომის დროს ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალში ყბა-სახის ქირურგიის განყოფილების გამგე, სრულიად ახალგაზრდა ქვრივი, პატარა შვილით, მთელი ცხოვრება მუშაობდა. 2003 წლისთვის მისი პენსია, მგონია, 10 ლარი იყო. არასდროს დაუწუწუნია. დედაჩემი ერთადერთი არ ყოფილა ასეთი. გავკადნიერდები და ჩემს თავზეც მოგახსენებთ ცოტას. 45 წელი ვიმუშავე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ვმუშაობდი აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვათა აკადემიურ გამოცემებზე. პირადად ჩემი მომზადებულია ვალერიან გაფრინდაშვილის თხზულებათა დღემდე ერთადერთი შედარებით სრული აკადემიური გამოცემა (1990 წ.)

ეს ისე..

კვლავ თემას დავუბრუნდები. ისევ კითხვა გაჩნდა, **სად იყო ეს კაცი 2015 წლამდე, რას ელოდა ან ვის ელოდა?** იქნებ მეგობრებს სახელმწიფოს მაღალ ეშელონებში. თუმცა, არ გინდა, კიდევ დაგენგრეს ოცნებები, უკვე მერამდენედ!

სასამართლო პროცესზე მშვიდად წავედით „მართალი სამართლის“ იმედად. არც ძებნა დაგვიწყია ვინმესი, არც გარკვევა, მართლები ვიყავით. მცხეთის რაიონულ მოსამართლედ ვინმე ტყავაძე დაგვხვდა, არც მერე გვირკვევია. პირიქით, ნორმალურად გვეჩვენა.ეს მერე გავარკვიეთ, როცა ერთხმად ალაპარაკდა ომბუდსმენი,საია, არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსამართლე ტყავაძის „მართალი სამართლის“ მსხვერპლი, დაჩეხილი, თავდაპობილი, შეურაცხყოფილი ადამიანები. მოსამართლე ტყავაძე იმ სახელმწიფო მანქანის ნაწილი იყო, რომელიც არად დაგიდევდათ სამართალს, არა მარტო ბრმა იყო, არამედ — ყრუც. თუმცა, ეს ხომ მისი არჩევანია, მოსამართლე ტყავაძის მოქალაქეობრივი არჩევანი და ვის ახსოვს აქ პროფესიული ღირებულებები, სტოიციზმი, უბრალოდ — სწორი გზა. აკი უფასდებათ კიდეც, დღესაც აწინაურებენ.

ჩვენი სასამართლო კი სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებით დასრულდა. ახლა გასაგები და მაშინ — გაუგებარი. სასამართლოს დადგენილებით, საჯარო რეესტრმა საქმე წააგო, რაც პროცესში მესამე პირად ჩართული მხარისთვის მოქ. მ. ჭყონიასთვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შეწყვეტაში აისახა (რეალურად საჯარო რეესტრისათვის ეს გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავდა, მიღებულმა გადაწყვეტილებამ მხოლოდ საჯარო რეესტრში არსებული ერთ-ერთი ჩანაწერი გააუქმა, პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ, ჩემს მიმართ კი დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება და დღეისათვის აღნიშნული ნაკვეთით, ჩემი საკუთრებით, სარგებლობა მე არ შემიძლია). **ჰო, და ყველაზე მთავარია, მოსამართლემ საჯარო რეესტრი დაავალდებულა, ეს ჩვენი „სადავო მიწა“ პირდაპირ ჯამარაულისთვის დაერეგისტრირებინა. ასე მარტივად, ყოველგვარი ზედმეტი მოკვლევის გარეშე...** ბოლო სხდომაზე მომჩივანმა მხარემ მოწმეები წარმოადგინა, ვითომ, მომიჯნავე ნაკვეთებიდან. ორიდან, ერთი საერთოდ არ გამოცხადდა, მეორე კი აკანკალებული ხმით იმდენად არადამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ შესაძლოა, ცრუ ჩვენების მიცემაშიც დაგვედო ბრალი. ამაზე სხდომის აუდიოჩანაწერის უბრალო მოსმენაც მეტყველებს. თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, გადაწყვეტილება — სრულიად წარმოუდგენელი. შემდეგ, **როდესაც ამ გადაწყვეტილების არსი იურისტებს გავაცანით, ყველა გააოგნა გადაწყვეტილების არაადეკვატურობამ.** პროცედურის თანახმად, განჩინებაც გადმოგზავნეს, აერიათ რაღაც, შაბლონური ვარიანტი იყო გამზადებულ გადაწყვეტილებაში ჩაწერილი სახელები.ეს უკვე მამაჩემის მიერ „განადგურებული“ 400 ბუჩქის, სხვათა მამების „ბომბეიდან დელიმდე გათხრილი გვირაბების“ ერთ შაბლონზე შეკერილ ისტორიებს წააგავდა, საბედნიეროდ ფასი იყო სხვა — არა სიცოცხლე.

და ისევ კითხვა, რა ღირს სამართალი მოსამართლე ტყავაძისთვის?

საქმე სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ. პირველი სხდომა 10 დეკემბერს იყო. ამჯერად, „ჩვენი ბედი“ მოსამართლე ირაკლი ლომიძის ხელშია. თუმცა, ნდობა უკვე შელახულია. ტყავაძეს დაუფასდა „სახელმწიფოს სამსახური“, სააპელაციო სასამართლოში გადაჰყავთ. რა ქნას მოსამართლე ლომიძემ. რთულია შენი კოლეგის მიერ „განჩინებული სამართლის“ შეცვლა. აქ კი როგორი მოსამართლეა, ამხელენ და წინ მიიწევს... ყველა დონ კიხოტი ვერ იქნება... არც ჩვენი მოსამართლეა დონ კიხოტი. პირველმა სხდომამ ძალიან უცნაურად ჩაიარა. იქვე აპირებდნენ ყველაფრის დამთავრებას. მოსამართლეს „დაავიწყდა“, რომ მომჩივანნი ამჯერად ჩვენ ვიყავით. **დავის საგანს პირდაპირ ჯამარაულის საკუთრებად მოიხსენიებდა, ჩვენს ადვოკატს სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევდა. სრული უსამართლობა და განუკითხაობა სუფევდა,** ყველაფერი ცხადი იყო. ადვოკატს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მოწმის სახით რეესტრის წარმომადგენელი წარედგინა. რეესტრი მხარეაო. თითქოს არის საქართველოში რაიმე სხვა ინსტანცია, სადაც რეგისტრირებულია ყველა დოკუმენტი, მათ შორის უფლება უძრავი ქონების საკუთრების შესახებ და, ნუ იტყვით, ის 2002 წ. გაცემული ნასყიდობის ხელშეკრულება გადაწონის ყველაფერს. 1998 წ. მ. ჭყონიას საკუთრების უფლებას, 2010 წ. გაცემულ ოფიციალურ საბუთს და, საერთოდ, ეჭვქვეშ აყენებს საჯარო რეესტრის არსს.

ესეც თქვენი სამართალი და ბრმა თემიდა თავისი სასწორით.

რა მანქანებით, არ ვიცი, ნამეტანი თავხედობა იქნებოდა, ალბათ, ერთ სასამართლოზე ყველაფრის დამთავრება. დონ კიხოტი არ ჩანს ჩვენი მოსამართლე, მაგრამ არც ისეთი თავზე ხელაღებულია და მომდევნო სხდომა 14 იანვარს ჩაინიშნა.

შიშით, მაგრამ მაინც იმედით ველოდებით 14 იანვარს. იქნებ მართლა შეიცვალა რამე ამ 80 წლის განმავლობაში. იქნებ, „400 ბუჩქის განადგურების“ მოგონილი ბრალდებით აღარ მოაწერონ ხელი უკანონო განაჩენებს, იქნებ...

ჩვენ მხოლოდ „მართალ სამართალს“ ვითხოვთ.

რა ღირს სამართალი ყველასთვის, 14 იანვარს გაირკვევა.

მარინე ჭყონია.

P. S. სულ რამდენიმე დღის წინათ „ქართულმა ოცნებამ“ და პირადად კახი კალაძემ „ყოფილი ფეხბურთელი და ბიზნესმენი გოჩა ჯამარაული“ გარდაბნის გამგებლის თანამდებობაზე თავის (ქ.ო. -ს) კანდიდატად წარადგინა..

აი, კიდევ ერთი ქვა ბრმა თემიდას სასწორის პინაზე.

მ. ჭ.

◎ კაკალ გულში

„ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“...

● „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მდივანს ირაკლი კობახიძეს რომ ვხედავ, გული სიბრალულით მევსება. ასეთი იერისა და მიხრა-მოხრის ყმაწვილი, „ცისფერ ღრუბლებზე უნდა იწვეს“ და „ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“-ო, — წერდეს.

საპარლამენტო სიებთან და სხვა მამაძაღლობებთან კი მამუკა კაციტაძისნაირებს უნდა ჰქონდეთ საქმე, შუბლზე, ძარღვის ნაცვლად, კოპები რო აქვთ.

● აშშ-ის უკანალში საქართველოს შემძვრენი „ორჯონიკიძეობა“ ვის ეკუთვნის ჩვენთან?

● კულტურა მოხუცი მზვერავია, უკვე აღარ სჭირდებათ და ახლა ეს მოხუცი სათნოების სახლში უნდა მოათავსონ სიკვდილამდე!!!

● სამშაბათი ოკუპანტური Вторник-ია, თუ ევროპული Tuesday?

● ეს ჰიპერ-ნაძირალა ფირცხალავა რეებს ამბობს?! არ მახსოვს, რომელ არხზე იყო, დაახლოებით 2 წლის წინ გამოვიდა და ასეთი ფრაზა თქვა — გადავამოწმეთ ბუტას რეპუტაცია და წესიერი ახალგაზრდა ყოფილაო (კრიმინალი მოკლეს, რო გეკითხა მანამდე)... რომელი სამართალდამცველი დადის უბან-უბან და პოლიციის მიერ მოკლულ „კრიმინალზე“ კითხულობს, წესიერი იყო თუ უწესო? რა ეწვოდათ?

● ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებაო.
ის ჩვენი წუწკი მელია კორპუსებს ეპარებაო...

● ჩიკორი გუგული მაღრაძე — 30 წელია, ტრიალებს.

● ფურცელზე რაც არ უნდა უტიფრობა დაწერო, ხო არ გაწითლდება?! ჰოდა, ეგრე არიან ნაცები Тупо врут и не краснеют... უბრალოდ ჩვენ ვართ ცოდოები, ამ მარაზმს რო ვკითხულობთ 9+3 წელი.

● ნაცებო: ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში მატარებელი ერთი მოსწავლის სკოლაში წასაყვანად დადისო, რო აფრიალებთ, იმას რატო არ იმჩნევთ, მთაში მცხოვრებ ბავშვებს მანქანები რო დაუნიშნეს სკოლაში სატარებლად?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ქვეყანა ღარიბდება, ბანკები კი მდიდრდებიან!

საქართველოში ისე მივეჩვიეთ პარადოქსების ფერადი სათვალით ცქერას, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის გაღატაკების პარალელურად კომერციული ბანკების სიმდიდრის რეკორდული ტემპით ზრდას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამთ. ალბათ, არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვი, რომ ამ „სიკეთეს“, ბევრ სხვა „წარმატებასთან“ ერთად, ჩვენში სათავე მსოფლიოში უპირველეს „დემოკრატად“ აღიარებულმა მიშნაცებმა დაუდეს. სწორედ მათ შეძლეს უდიდესი „ძალისხმევის“ წყალობით რეკორდულად მოკლე პერიოდში, სტრატეგიული პარტნიორი ევროპა-ამერიკისა და ერთმორწმუნე რუსეთის თავკაცთა „თანადგომით“, დაეკარგათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მიწასთან გაესწორებინათ საქართველოს ეკონომიკა, დაემშიათ ხალხი და „დაეცოცხათ“ მათი უფლებრივი თავისუფლება. ამ ფონზე, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ერთადერთი, ვინც ნაცების ცოცხსა და დაყაჩაღებას გადაურჩა (ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს), იყო ქვეყნის საბანკო სისტემა, რომელიც იქიდან მოყოლებული დღემდე ზემოგებით მუშაობს.

კიდევ გავიმეორებ, ერთადერთი, ვინც წინა ხელისუფლების მძარცველური რეჟიმის პირობებში დიდძალი სიმდიდრე დააგროვა, ხალხის არჩევანით ქვეყნიდან დემოკრატიულად გაგდებული საკაშვილის ნაცბანდა და კომერციული ბანკებია. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კოალიციური მთავრობების ახალგამომცხვარი მინისტრები და მათი მოადგილეები, რომელთაც „სუფრა“ ერთიანად შეჭმულ-დაცარიელებული დახვდათ, ხელის გასამართად და მსხვილ-მსხვილი სესხების დასათრევად უმალ ბანკებს მიადგებიან. ძნელია, წინასწარ ვივარაუდოთ, რა მოგებას გამოჰკრავენ ხელს ბანკები ხსენებული ჩინოვნიკების მსხვილ-მსხვილი კრედიტებიდან მიღებული შემოსავლებით, ან სესხებს გადაუხდელობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთა ქონების დაყაჩაღება-გაყიდვით, მაგრამ წინა მთავრობის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, მსგავს აღებ-მიცემობაში ჩართული მხარეები არცთუ ურიგო ნადავლს უნდა ელოდნენ. სხვა თუ არაფერი, განა ოღრაშმა მიშნაცებმა ფინანსური ხელმოკლეობიდან გამოძრომა მსგავსი „სესხებით“ არ დაიწყეს?!.

თუმცა, ქვეყნის საბანკო სექტორის ზემოგების შესაფასებლად ყვალაზე მსუყე სურათს გასული 2015 წელი იძლევა, როცა საქართველოს ეკონომიკის მთავარ პრობლემად ლარის რეკორდული დევალვაცია იქცა. ამ წელს ლარის კურსის 40-პროცენტიანმა ვარდნამ გამანადგურებელი გავლენა იქონია ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე, მძიმე დაღი დაასვა როგორც სახელმწიფოს, ისე თითოეული მოქალაქის ბიუჯეტს. უპირველესად, დარტყმა მიადგა მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც შემოსავალი ლარში, ხოლო სესხები ბანკებიდან დოლარებში აქვთ აღებული. ამას დაემატა კურსის გაუფასურების შედეგად გაძვირებული იმპორტი, რამაც უმეტეს პროდუქტებზე ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. ამას, ბუნებრივია, ზედ დაერთო ინფლაცია, რომლის დონემ ჯერ კიდევ შარშანდელ ნოემბერში 6,34 პროცენტი შეადგინა და მიზნობრივ მაჩვენებელს საგრძნობლად გადააჭარბა.

რა ზომები მიიღეს ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა ეკონომიკის ამ დამანგრეველი პროცესის შესაჩერებლად? იმის მაგივრად, რომ რაიმე გონივრული ღონისძიება განეხორციელებინათ, ისინი მოქიშპე მამლებივით წაეკიდნენ ერთმანეთს და შეეცადნენ დანაშაულის ურთიერთგადაბრალებას. ლარის კურსის გაუფასურების საწყის ეტაპზე მთავრობა ეროვნული ბანკისგან ითხოვდა სავალუტო კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილიყო სათანადო რეზერვები, რომლის ამოქმედებაზეც სებ-მა სასტიკი უარი განაცხადა. ამის მიზეზად მან სავალუტო რეზერვების მოსალოდნელი განიავება და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის უარყოფითი მხარეები დაასახელა. ამ ურთირთბრალდებების შედეგად ის მივიღეთ, რომ ერთ წელიწადში ლარი დოლარის მიმართ 1,75-დან 2,40-მდე, ხოლო ევროს მიმართ 2,18-დან 2,60-მდე დაეცა.

ეროვნული ბანკის არასწორმა პოლიტიკამ, ლარის კურსის გასამყარებლად მონეტარული ბერკეტების გამოუყენებლობამ ქვეყანა უამრავი ეკონომიკური პრობლემის წინაშე დააყენა. მათ შორის გაიზარდა ინფლაცია, გამკაცრდა მონეტარული პოლიტიკა, რაც ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებს. ეს უკვე მოხდა: მთლიანი შიდა პროდუქტი, რაც 2015 წლის ბიუჯეტით 5-პროცენტიან ზრდაზე იყო დაგეგმილი, შარშანდელ ივლისში 2 პროცენტამდე შემცირდა. 2015 წლის პირველ რვა თვეში ეკონომიკა საშუალოდ 2,8 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა წინა წლის ამავე პერიოდში მშპ-ის 6,1-პროცენტიანი ზრდა იყო. ამან გავლენა იქონია მომავალზეც. 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მხოლოდ 3-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაზეა გათვლილი.

ამ პირობებშიც კი, როცა ქვეყნის ეკონომიკა უკიდურეს გასაჭირშია, კომერციულმა ბანკებმა მოახერხეს, ერთი წლის განმავლობაში თავიანთი აქტივები 24,7 პროცენტით გაეზარდათ, ხოლო წმინდა მოგება — ნახევარი მილიარდი ლარით, რაც გახლავთ მაქსიმუმი ბანკების ისტორიაში. ამას რომ ეცნობით, ბუნებრივად იბადება კითხვა: **როცა ქვეყანაში ეკონომიკა და მასთან ერთად ხალხი ყოველწლიურად ღარიბდება, ბანკების მოგება რეკორდულად როგორ იზრდება, ვითომ ჩვენებური ბანკირების ზეგარდმო ნიჭის წყალობით?!**

რა თქმა უნდა, არავინ აპირებს იმის მტკიცებას, რომ საქართველოში უნიჭო ბანკირები გვყავს, მაგრამ თუ ბანკების რეკორდული მოგება სულ სხვა ფაქტორებს უკავშირდება? საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილი წევრის მიხეილ თოქმაზიშვილის განცხადებას თუ დავეყრდნობით, **ბანკების რეკორდული მოგება, რიგ ფაქტორებთან ერთად, ეროვნული ვალუტის კურსის დევალვაციამაც განაპირობა.** მისი თქმით, კომერციულმა ბანკებმა პრევენციის მიზნით, ლარში გაცემული სესხებიც დოლარის კურსს მიაბეს, რათა სესხების მიმდინარე კურსზე გადაანგარიშებით დაბრუნებულიყო. **შესაბამისად, ბანკებმა კურსის ცვალებადობით არა მარტო დოლარში გაცემული სესხებიდან მიიღეს მოგება, არამედ ლარში გაცემულიდანაც. ასეთი გათვლით, ლარის დევალვაციის შედეგად, მათ საკმაოდ დიდი მოგება მიიღეს(!).**

და განა მარტო ლარის გაუფასურების ამ მიმართებით ნახეს სარგებელი? ნიშანდობლივია ისიც, რომ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის ზრდის ტემპმა 33,7 პროცენტი შეადგინა, რაც მეტწილად გამოწვეულია ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად უცხოური ვალუტის სესხების გადაფასებით.

საკმაოდ სოლიდურ შემოსავლებს იღებენ ბანკები საკომისიოებიდან და გამონაკლისი არც 2015 წელი ყოფილა. მხოლოდ საბანკო მომსახურებაზე დარიცხული საკომისიოების სახით, კომერციული ბანკების შემოსავალმა 247 მილიონ ლარს მიაღწია. აქ, ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ ის პერიოდი, როცა მოსახლეობა დენის, გაზისა და წყლის დანახარჯის საფასურს მისთვის გამოყოფილ პუნქტებში იხდიდა ზუსტად იმდენს, რამდენსაც ხარჯავდა. გამოხდა ხანი და ეს ფუნქცია კომერციულ ბანკებს გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ტირილი მოგიხდებათო. თავიდან ბანკები „უცრემლოდ“ ასრულებდნენ ამ მოვალეობას, მაგრამ შემდეგ გზადაგზა „გონს მოეგნენ“ და გაჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გადასახადისგან ისედაც წელში წყდებოდა, მომსახურების სანაცვლოდ საკომისიო გადასახადი დაუწესეს.

რამდენი, არ იკითხავთ? თავიდან ყველა სახეობის (დენი, გაზი, წყალი, ნაგავი) გადასახადზე ერთად აღებული 50 თეთრს ახდევინებდნენ, მაგრამ შემდეგ მადა გაუღვივდათ და ეს 50 თეთრი ყველა გადასახადზე სათითაოდ სავალდებულო გახადეს. იყო პერიოდი, როცა ცალკეული ბანკები „მორცხვობდნენ“ და მოხმარებულს მომსახურებისთვის არაფერს ახდევინებდნენ, მაგრამ ბოლოს სიმსუნაგემ ყველაფერს სძლია და ხარკი მომსახურებისათვის ყველგან სავალდებულო გახადეს.

დღეს კომერციული ბანკები ხელიდან არ უშვებენ რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღების ისეთ შანსს, როგორიც გახლავთ საბანკო მარჟა. ისინი უღმერთოდ ატყავებენ მოსახლეობას ვალუტის გადახურდავებისას, ან გნებავთ, სესხის გასტუმრებისას. საქმე ის არის, რომ ბევრს შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს და სესხის გასტუმრების დროს ფულის კონვერტაცია უწევს. ბანკები სარგებლობენ ამით და მათ დაბალი საგადამცვლელო კურსით საკმაოდ დიდ თანხას აკარგვინებენ.

კომერციული ბანკები სათავისოდ შესანიშნავად იყენებენ ასევე კანონით მინიჭებულ უფლებას — საკუთარი სააქციო კაპიტალის 50 პროცენტი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. ამის წყალობით, დღეს ბანკები ფლობენ მთელ რიგ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის კომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს და კიდევ რას აღარ. ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბანკმა კრედიტის გაცემისას პრიორიტეტი მიანიჭოს საკუთარ კომპანიას (ფაქტობრივად, ასეც ხდება) და არა კონკურენტს, რომელიც ბანკში სესხის ასაღებად მივიდა.

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტებისა და იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების პროცენტებს შორის არსებულ მზაკვრულ სხვაობაზე (საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც ხსენებული საპრცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია) და აქედან გამომდინარე იმ მძიმე ურთიერთობაზე, რაც ბანკსა და მომხმარებლებს შორის იქმნება. ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ბანკების მიერ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც კაბალურია და მათში დომინანტი მხოლოდ ბანკის ინტერესია.

შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოხმობაც, თუნდაც იმისი, „ლიბერთი ბანკი“, ვითომ პენსიონერთათვის სიკეთის კეთების მოტივით (ლაპარაკია პენსიების წინასწარ სესხად გაცემაზე), მათივე ფულით შემოსავლებს როგორ იზრდის, მაგრამ რაც ითქვა, ისიც საკმარისია იმის დასტურად, თუ კომერციული ბანკები სათავისოდ როგორ იყენებენ ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და როგორ ატყავებენ სიღატაკისგან ისედაც ტყავგამძვრალ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, შორს ვართ

იმ აზრისგან, რომ ბანკები მოგებით არ უნდა მუშაობდნენ, მაგრამ არა ისე, რომ გასაჭირში მყოფ ეკონომიკასა და ხალხს ხელეჩოსავით სულ სათავისოდ ათლიდნენ.

ოთარ ხუციშვილი

⊙ ინფორმაცია

სააკაშვილმა კორუფციასთან ბრძოლა საკუთარი მრჩევლის დათხოვნით დაიწყო

ოდესის გუბერნატორმა საკუთარი მრჩეველი ვლადიმერ რეზნიკი სამსახურიდან დაითხოვა და სამართალდამცავ ორგანოებს მისი საქმიანობის შესწავლა დაავალა. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელ ფეისბუქში წერს.

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რეზნიკს გარკვეულ დოკუმენტებზე აქვს ხელი მოწერილი, რომლებიც სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება. მე დღეს ის საჯაროდ დავითხოვე სამსახურიდან და მის მიერ ვიზირებული დოკუმენტების შესწავლა მოვითხოვე. ჩვენ კორუფციასთან უშეღავათო ბრძოლას განვაგრძობთ,“ — წერს სააკაშვილი.

ბუეს ყალბი დოკუმენტებით ანადგურებდნენ!

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 7 მოქალაქე დაიკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს ხეტყის ტრანსპორტირებისათვის საჭირო სასაქონლო ზედნადებში, სისტემატურად შეჰქონდათ ყალბი მონაცემები მასალის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესახებ, რის შემდეგაც, აღნიშნული ყალბი ოფიციალური დოკუმენტებით ახორციელებდნენ უკანონოდ მოპოვებული ხეტყის მასალის ტრანსპორტირებას და რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით. დაკავებული მეწარმე სუბიექტების მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ წლიდან წლამდე

აჩრდილი ვარდისფერკაბიანი ასულისა

**„შეებრძოლება მტერს უკანასკნელ წვეთამდე,
შეებრძოლება და ან სიკვდილი ან გამარჯვება,
აი დევიზი ქართველი ერის!“**
მარო მაყაშვილის დღიურიდან.

... 1989 წლის ქართული ტრაგედია ჯერ კიდევ ჩაუმთავრებელი იყო, როცა რუსთაველზე, მთავრობის სახლთან ჩავლისას იმ ქალწულის ლანდი მეჩვენებოდა, რომელიც სიზმრად ნანახი ვარდისფერკაბიანი ასულის ანარეკლს ჰგავდა! ...

ვინ უნდა მომჩვენებოდა 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად იქ, სადაც სწორედ ახალგაზრდა ქალთა სისხლი დაიღვარა?! ფიქრი ფიქრს გადაეწნა და ჩემი ჩანაფიქრის — ჩემი სიზმრის აცხადებისათვის მივმართე სტუდენტობის დროის მეგობარს, გულითად ადამიანს, თეატრმცოდნე ალეკო შალუტაშვილს — ვიცოდი, არ გამაწბილებდა, ისიც ვიცოდი, იმ ოჯახის უახლოესი პირი იყო, ვისი აჩრდილიც იმხანად მიხმობდა, თითქოს მხარდამხარ დამყვებოდა! ალეკომ პასუხი მალე მაცნობა: გელიანო — მაროს და-ძმა — ცნობილი მხატვარი შალვა მაყაშვილი და ქალბატონი ნუგეშა — ფილოლოგი რჩეული! ნუგეშად შობილი მაყაშვილთა დიდ ოჯახში 1921 წლის აპრილში და ისიც მარიამად განათლული მარადიული ხსოვნის ნიშნად! ჩვენ ადვილად გამოვძებნეთ სართო ენა და ნიშნად ნდობისა ქალბატონმა ნუგეშამ მეზობელი ოთახიდან ხელის გულზე გადაშლილი მომცრო წიგნაკი გამოიტანა — ეს იყო მაროს დღიური, დღიდან პირმშოს დაღუპვისა ხელშეუხებლად რომ იდო თურმე დედისეულ ზარდახშაში. თითქოს ცა გაიხსნა, თითქოს მაროს აჩრდილი კვლავ ხორციელად იქცა და ამეტყველდა! „შარავანდედად“ მონათლული ის ესე, თუნდა სენილია, სწორედ მადლიერების გრძნობით ასე დავამთავრე:

„დამთავრდა ესე ამბავი, ლეგენდად ქცეული სინამდვილე - მენანება მაროს აჩრდილთან განშორება, მაგრამ ისღა მამშვიდებს, რომ ქართველ ქალთა კრებაში მაროს სახეც აღდგა! გმადლობთ, ქალბატონო ნუგეშა, გმადლობთ, ბატონო შალვა, უთქვენოდ ჩვენი საუკუნის ეს დაკარგული ფურცლები ვერ შეივსებოდა, ვერც მაროს ეს პორტრეტი შეიქმნებოდა უთქვენოდ“. — 1990 წლის თებერვალი, ტიციან ტაბიძის მიერ ჟანა დარკის სადარად აღიარებული ქალის დაღუპვას ვუსწორე ეს პირველი მოზრდილი ნარკვევი გაზეთ „კომუნისტში“, ზოგმა ყურადღებიანმა მკითხველმა ესეც და მოთხრობაც რომ უწოდა. იმავე 1990 წლის 26 მაისს დღიურის ვრცელი მონაკვეთი რუბრიკით „უცნობი ფურცლები“ დღიურის ყდითურთ სათაურით „ საქართველო აღდგა... ულელი გადატყდა“ ისევ გაზეთ „კომუნისტში“ გამოვაქვეყნე.

რამდენი წელი გავიდა მას აქეთ, საუკუნეც სხვა დაგვიდგა! ამ ხნის მანძილზე წლიდან წლამდე გამოქვეყნებული ნარკვევები წიგნად აიკინძა და სამჯერ გამოიცა სათაურით: **„შარავანდედი“, ანუ „მაროს მაყაშვილის ხატი სხვადასხვა შუქჩრდილში“** , რასაც დღიურის ფურცლებიც დაერთო. ამაზე „მოუშუშებელ ჭრილობაშიც“ ვწერდი შარშანდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც თითქმის 30 წელი ვიშრომე! ვემადლიერები ჩემს ერთგულ თანამოკალმეებს, რომელთა წყალობითაც მიუხედავად „სამშობლოდან“ ჩვენი არაადამიანური გამოსახლებისა, მოვახერხე გადამერჩინა ჩემი მოზრდილი არქივის ნაწილი .

„პეგასის“ მიერ განახლებული ექსპოზიციითა და ვრცელი ბიბლიოგრაფიით გამოცემული წიგნის წარდგინება სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა 2010 წელს. ქალბატონი ნუგეშა უკვე ავადმყოფობდა და მაინც მობრძანდა დისწულებთან, ელიზბარ და გოგიტა ერისთავებთან ერთად.

* * *

გულითად მადლიერებას გამოვთქვამ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ გიორგი მარგველაშვილის მიმართ მარო მაყაშვილისათვის ეროვნული გმირის წოდების მინიჭების გამო, ისევ წინა საუკუნეში დავბრუნდები — ერთ-ერთი სტატია „პირველი მსხვერპლი ქალი“ ასე დამიმთავრებია:

„ახლა, როცა დაღუპვიდან 70 წლისთავია, ხოლო მარიამობის თვეში კი 90 შეუსრულდებოდა, გავიფიქრე: მარო მაყაშვილის ხსოვნას რარიგ დაამშვენებდა-მეთქი ჯილდო მამულის სამსახურისათვის!

ის იყო პირველი მსხვერპლი ქალი, დე, ახლაც იყოს პირველი!“

ამ ხსოვნის წერილში დღიურთან „გასაუბრების“ შედეგად გამოყოფილი მაქვს ქვეთავები: **„სამშობლოსა და წარსულის განცდა“, „ამირანის თემა“, „რელიგია და თეატრი“** — ასეთი მრავალმხრივია ამ ნორჩი ასულის სულიერი სამყარო, ნაწერები, რასაც პოეტი მამა, კოტე მაყაშვილი, სიამაყით უქებდა.

„ვიყავი ღვთაებაში — იყალთოსგან ნახევარ ვერსზე არის“ — მამა-პაპის საფლავებიც მოუნახულებია, ეკლესიაში ხატებს ვემთხვიეო! აკადემიამ ააღელვა — შოთას ახსენებს უპირველესად! იქნებ ისიც ამ ადგილზე იდგაო, ეს ღმერთისგან დაჯილდოებული პოეტი! ღვთაებიდან თითქოს კახეთი ხელისგულზეაო.

ვულოცავ ერისთავების ოჯახს ამ საშვილიშვილო აღიარებას! ვწუხვარ, ასეთ პატივს ვერ შეესწრნენ შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი თამარ ერისთავი და მისი ძმა გოგიტა ერისთავი, რომლებსაც დედა ბავშვობაში ხშირად მოუთხრობდა ხოლმე თავისი უფროსი დის მაროს გმირობის ამბავს.

ვერ შეესწრნენ მაროს და-ძმა — ნუნუ, ნუგეშა და შალვა მაყაშვილები.

ვულოცავ სრულიად საქართველოს მაროს მრწამსის საყოველთაოდ აღიარებას!

ვულოცავ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს — მაროს სახელობის კლუბის დაარსების თაოსნებს!

ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პატრიოტებს, ვისი წინამორბედიც იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი, საკუთარი მამულისა და მრწამსისათვის თავდადებული მაყაანთ ქალი.

ცხოვრების გზაზე ადამიანი რას არ ინატრებს, რას?!

შარშანდელი წლის დადგომას ამ ლექსით შევხვდი, რომელიც თითქმის წინასწარმეტყველური გამოდგა:

კარგი ამბავი

**— ბიბლიურია ჩვენი ქვეყანა,
ბიბლიურია ჩვენი ანბანი!
თუკი გახსოვართ და მომაგონით,
მიამბეთ რამე კარგი ამბავი!
მითიურია ქვეყანა ჩვენი,
ვითარ ამირან,
ვითარ ადამი!
მახარეთ რამე კარგი ამბავი!**

ნანა ღვინეფაძე,

პოეტი, მთარგმნელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, თეატრმცოდნე, ნიკო ნიკოლაძის პრემიისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიის — „ოქროს ფრთის“ ლაურეატი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონის წევრი; ღირსების ორდენოსანი; გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჯილდოს — „ოქროს რგოს“ მფლობელი.

2016 წლის 6 იანვარი

მარო მაყაშვილისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე, 2012 წლის 26 თებერვალს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში (თაოსანი ნელი ნიკურაძე); მარცხნიდან მარჯვნივ: კინორეჟისორი გია ჭუბაბრია, ავტორი ფილმისა „გაფითრებული თებერვლის ლანდი“, რომელიც ჩემი „შარავანდედის“ შთაგონებით შეიქმნა! ვახტანგ ტუსკია, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი; ნანა ღვინეფაძე ელიზბარ და გოგიტა ერისთავებს შორის.

◎ მისახედია!

ბავშვთა სუიციდის ფაქტები ძირეულ ანალიზს საჭიროებს

საძართველოს სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოთქვამს 2016 წლის 9 იანვარს, ბორჯომში 17 წლის არასრულწლოვანის თვითმკვლელობის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის საფუძველზე, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაიწყო საქმის წარმოება.

როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, სახელმწიფოს არა აქვს ბავშვთა თვითმკვლელობის პრევენციის ერთიანი დოკუმენტი. ამდენად, ვერ ხერხდება პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და რისკ-ფაქტორების შესწავლა და აღნიშნული ფენომენის აღმოსაფხვრელი პრევენციული ზომების მიღება.

სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების შედეგებიდან იკვეთება, რომ შესწავლილი საქმეებიდან, არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა სსკ-ს 115-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაზე ბრალდებული პირის იდენტიფიცირება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკისრება სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, მან მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და მისი ჯანსაღი განვითარება.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC) შეშფოთებულია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში არასრულწლოვანთა სუიციდის მზარდი მაჩვენებლით და მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები აღნიშნული ფენომენის გასააზრებლად და მისი პრევენციისა და აღმოფხვრისათვის განახორციელონ მხარდაჭერისა და ინტერვენციის პროგრამები.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის გამომწვევი ფაქტორები მრავალგვარია და განსაკუთრებულ შესწავლასა და ანალიზს საჭიროებს. აუცილებელია, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა — მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა გააცნობიერონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა ბავშვის უფლებების დაცვისა და არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის პრევენციის მიმართულებით.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ბავშვთა თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზების შესწავლაზე და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები აღნიშნულის აღმოსაფხვრელად — დაიწყოს მუშაობა არასრულწლოვნებში სუიციდის პრევენციის პოლიტიკის შესამუშავებლად და უზრუნველყოს ამ პროცესში ექსპერტების, სპეციალისტებისა თუ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ასევე, მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით, განახორციელოს სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველი, საკუთარი ინიციატივით, თვალყურს მიადევნებს პასუხისმგებელი ორგანოების მუშაობის ეფექტურობას.

ბინები დაურიგეს, მაგრამ შესახლებას დღემდე ელიან

დევნილებისთვის ერთი თვის წინათ გადანაწილებული საცხოვრებელი ფართები ამ დრომდე არ გადაუციათ და მათი უმეტესობა ახალ წელს ისევ მძიმე პირობებში შეხვდა.

დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის ზღვაზე, ე.წ. „ოლიმპიურ სოფელში“ და მენაშენეებისგან გამოსყიდულ თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ კორპუსებში ბინა 561 დევნილ ოჯახს საახალწლოდ გადაეცა.

სამინისტროში აცხადებენ, რომ სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტი ნგრევად შენობებში და უმძიმეს პირობებში მცხოვრები დევნილებს მიენიჭათ და ისინი ახალ წელს ახალ საცხოვრებელ ბინებში შეხვდებოდნენ.

თუმცა, „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, 60-მდე დევნილი ოჯახი ახალ წელს ისევ უმძიმეს საცხოვრებელ პირობებში შეხვდა და საკუთარ ბინებში შესახლებას ისინი ამ დრომდე ელოდებიან.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

რას გვიძადის 2016 წელი?

საქართველო, როგორც იქნა, „თეთრებით თამაშობს“

რაც უფრო მეტი დრო გადის ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომიდან, მით უფრო ნათელია, რომ თვით გადადგომა მოულოდნელი კი აღმოჩნდა, მაგრამ პოლიტტექნოლოგიურად სწორად იყო „შეფუთული“, ანუ ირაკლი ღარიბაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის კონსულტაციები ნამდვილად მიმდინარეობდა. ოღონდ, მოარული აზრის საწინააღმდეგოდ, ეს კონსულტაციები, სინამდვილეში (ყველაფრით ასე ჩანს) ეხებოდა არა იმას, გადამდგარიყო თუ არა პრემიერ-მინისტრი, არამედ, როგორ „შეეფუთათ“ ეს გადადგომა ისე, რომ ხელისუფლებას ზიანი არ მისდგომოდა.

სწორად გადაწყვიტეს, რომ ახალ წლამდე გადადგომა ჯობდა ახალი წლის მერე წასვლას. პოლიტტექნოლოგიურად ეს „ორჯერ-ორია“, რაკი ახალი წლის შემდეგ მთავრობის გადადგომა ნეგატიურად აღიქმება, ხოლო ახალ წლამდე – განახლებისა და გამოცოცხლების მანიშნებლად. ასეა მოწყობილი საზოგადოების ფსიქოლოგია.

ღარიბაშვილმა თვითონ მიიღო გადაწყვეტილება წასვლის შესახებ, რაკი პასუხისმგებლობას ვერ გაუძლო და პერსპექტივასაც ვერ ხედავდა. მაგრამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ეს „წასვლა“ ბიძინა ივანიშვილს დემარშად და მტრობად არ აღექვა. თუმცა, გამოსათხოვარ სიტყვაში მისთვის მადლობა მაინც არ უთქვამს.

ამ ფონზე, სასაცილოც კი იყო საუბრები, რომ იგი შეიძლებოდა დარჩენილიყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერად. არადა, ხელისუფლებაში ლიდერი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს! ამიტომ კოალიციის თავმჯდომარის პოსტს, რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაიკავებს. მასვე დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისათვის.

* * *

კვირიკაშვილი, ამ მხრივ, უფრო ძლიერი ფიგურა ჩანს. უკვე გაჩნდა პირველი ნიშნები იმისა, რომ იგი შეეცდება დამოუკიდებლობის მეტი სივრცე მოიპოვოს. მივაქციოთ ყურადღება, რომ ბიძინა ივანიშვილს უმალვე მოუხდა ახალი პრემიერის პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ინტერპრეტირება: გიორგი კვირიკაშვილმა თქვა, რომ აღარ მოითხოვს პრეზიდენტის გამოსვლას სასახლიდან. ამას კატეგორიულად მოითხოვდა ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ მოითხოვდა არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ახმოვანებდა თვით ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რომელიც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს არაერთგზის გამოუთქვამს.

ახალმა პრემიერმა კი, ხსენებული ფსევდოპრობლემის მიმართ, სულ სხვა დამოკიდებულება გამოამჟღავნა, რაც ივანიშვილმა ასე ახსნა: „აი, “კავკასიურ ცარცის წრეში“ ნამდვილ დედას შვილის შუა გახლეჩა რომ არ უნდაო“.

ბერტოლდ ბრეხტის მეტაფორა აქ ორაზროვნად ჟღერს, რადგან თანამედროვე ტერმინოლოგიით, მის პიესაში საუბარია „ბიოლოგიურ“ და არა „აღმზრდელ“ დედაზე.

ჰოდა რა გამოდის? გიორგი კვირიკაშვილი ცდილობს, „არ გახლიჩოს“ შუაზე, ხოლო წინა და იმის წინა პრემიერები სწორედ ამას ცდილობდნენ, როდესაც კატეგორიულად მოითხოვდნენ პრეზიდენტს ავლაბრის სასახლე დაეტოვებინა, მიუხედავად მარგველაშვილის ასეთივე კატეგორიული უარისა!

ეს მხოლოდ პირველი ინციდენტია. როგორც ჩანს, ამგვარი კიდევ ბევრი იქნება, რადგან გიორგი კვირიკაშვილს ნამდვილად მოუწევს ალტერნატივების შექმნა მაშინაც კი, როდესაც ეს ალტერნატივები სრულიად შეუთავსებელი იქნება ხელისუფლების ადრინდელ პოზიციასთან.

მთელს ამ სიტუაციას (პრეზიდენტის სასახლესთან დაკავშირებით) კომიკურობის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ კვირიკაშვილი გამოცდილი, ძალიან გონიერი კაცი ჩანს და, მისი „პიროვნული კონსტიტუციიდან“ გამომდინარე, ისეთი სწორხაზოვანი არ იქნება, როგორიც ის 31 წლის ბიჭი იყო.

ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად მოუწევს, ამას შეურიგდეს და თავადაც ახლებურად „აეწყოს“, რაკი ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა დაუშვა.

* * *

ახალი პრემიერ-მინისტრის მთავარ გამოწვევად, მიმდინარე წელს, რა თქმა უნდა საპარლამენტო არჩევნები იქცევა. ოღონდ არა იმიტომ, რომ თითქოს, „თუ კვირიკაშვილმა ეკონომიკური ვითარების გამოსწორება ვერ შეძლო, ოცნება არჩევნებს აუცილებლად წააგებს“ და ა.შ. საქართველოს უახლესი ისტორია ადასტურებს: არჩევნების შედეგი არავითარ კორელაციაში არაა ეკონომიკურ მდგომარეობასთან! ქართველი ამომრჩეველი ტრადიციულად ხმას აძლევს არა „წარმატებულს“, არამედ „ძლიერს“. უფრო ზუსტად, „სხვებზე ძლიერს“. ხმას აძლევს არა „მომხრედ“, არამედ ვიღაცის „საწინააღმდეგოდ“ და „ვიღაცის ჯიბრზე“. ხმას აძლევს არსებულის შენარჩუნებას და არა შეცვლას – „შეჩვეული ჭირის“ სინდრომით.

თუ, რასაკვირველია, რაიმე ისეთი კატასტროფა არ დაემართა ხელისუფლებას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გახდა „გლდანის ვიდეოები“, რომლებიც 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა და გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ოღონდ, გავრცელებული გულუბრყვილო აზრის მიუხედავად, იმიტომ კი არა, თითქოს „ხალხი აღაშფოთა საშინელმა კადრებმა“ და ასე შემდეგ, არამედ იმის შედეგად, რომ ხელისუფლება აშკარად დაიბნა და აღარ იცოდა რა ექნა, რაც იმავე ხალხს არ გამოეპარა.

კვირიკაშვილის მთავარი ამოცანა იქნება, ამგვარი სიტუაცია 2016 წლის შემოდგომამდე არ დაუშვას, რაიმე მკვეთრი მოძრაობა არ გააკეთოს და პოლიტიკურ მტრებს ისეთი „სათქმელი“ (!) არ მისცეს, როგორიც ნაციონალებმა შეუქმნეს თავის „მოსისხლეებს“ 2012 წლის სექტემბერში – ხსენებული ვიდეოებით.

თუ ახალი პრემიერი ამას მოახერხებს, მაშინ ლარის დევალვაციისა და ინფლაციის მიუხედავად, „ოცნება“ არჩევნებს მოიგებს! მით უმეტეს, როდესაც მისი მთავარი ოპონენტები „ყოფილები“ არიან. საქართველოში კი „ყოფილები“ არ უყვართ.

კიდევ 4 წლის შემდეგ კი, როდესაც საზოგადოება დაიღლება ხელისუფლებით (როგორც დაიღალა შევარდნაძით 2003 წელს და მიშათი 2012 წელს) გლდანის მსგავსი გარდატეხის ორგანიზება გაადვილდება. მით უმეტეს, რომ იმ დროისთვის მაჟორიტარული სისტემაც გაუქმდება, რომელიც ხელისუფლების დასაყრდენი იყო მუდამ.

ეკონომიკაში ვითარების გაუმჯობესებას ნამდვილად არ უნდა ველოდოთ, რადგან, მოგვწონს თუ არა, ჩვენი ეკონომიკა რუსეთსა და უკრაინაზე უფრო მეტად აღმოჩნდა მიბმული, ვიდრე ევროპასა და ამერიკაზე. ამ ქვეყნებში კი სიტუაცია უახლოეს წლებში არ გამოსწორდება. მაშასადამე, ხელისუფლება ობიექტურად ვერ მოახერხებს ტრადიციული ქართული პროდუქციის „გადამისამართებას“ რუსეთ-უკრაინიდან სხვა ბაზრებზე, ამიტომ კრიზისი გაგრძელდება და გაძლიერდება კიდეც. ოღონდ (ვიმეორებ) ეს პროცესი პირდაპირ არ უკავშირდება არჩევნების შედეგებს, როგორც ეს ხდება ხოლმე ნორმალურ ქვეყნებში.

* * *

ხელისუფლებას შეიძლება კვლავ დაეხმაროს საგარეო პოლიტიკური წარმატებები. თუ ევროკავშირმა მართლა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის შესახებ, ეს იქნება ყველაზე სერიოზული წარმატება მთელი განვლილი 25 წლის განმავლობაში. ძალიან კარგად ვიცით, რომ საქმე ეხება არა ტურისტულ მოგზაურობებს, არამედ ევროპაში ათი ათასობით (!) ადამიანის დასაქმებას, რომლებიც, უამრავი საბუთის თუ ცნობის მიუხედავად, მაინც მოახერხებენ ევროპაში „შეპარვას“.

რაც მთავარია, ეს შესანიშნავად იციან ევროპელებმა, მაგრამ მაინც დგამენ ამ ნაბიჯს, სწორედ ამიტომაა ეს „უვიზო რეჟიმი“ მნიშვნელოვანი, თორემ ვისაც ევროპაში ტურისტულად მოგზაურობა უნდოდა და საამისო ფული გააჩნდა, ის წელიწადში ერთხელ მაინც ახერხებდა ვიზის აღებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რას შეიძლება ველოდოთ „ნატოს“ სამიტისგან. დღევანდელი მდგომარეობით არც არაფერს – მორიგი დაპირებების და დეკლარაციების გარდა. ოღონდ ეს ამჟამინდელი საერთაშორისო დისპოზიციით. მაგრამ თუ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, თუ პუტინმა ახლო აღმოსავლეთში (იქ უფრო, ვიდრე უკრაინაში) საბოლოოდ „ამძლავრა თითი“ და ევროატლანტიკური ცივილიზაციის ლიდერთა მოთმინების ძაფიც საბოლოოდ გაწყდა, მაშინ ბევრი რამ ნამდვილად შეიძლება შეიცვალოს და ის, რაც მიუღწეველი გვეგონა, მიღწევადი გახდება.

„ნატო“, რასაკვირველია, არ შეცვლის უინსტონ ჩერჩილისა და ფრანკლინ დელანო რუზველტის დაწერილ წესდებას, არ ამოიღებს ამ დოკუმენტიდან პუნქტს, რომლის თანახმად, ალიანსის წევრი ვერ გახდება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს (დასავლეთი ცნობდა ე.წ. „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ არსებობას და მხოლოდ ამიტომ მიიღეს გერმანია ალიანსში), მაგრამ უთვალავი სხვა ინსტრუმენტი გააჩნია და უამრავი სხვა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს.

თუ მიაქციეთ ყურადღება, რამდენიმე დღის წინათ, BBC-ზე გავიდა ფილმი „მკვლელი კვლავ დაუსჯელია“ – რუსული სპეცსამსახურების მიერ ლონდონში, რადიოქტიური ნივთიერებით, ალექსანდრე ლიტვინენკოს (ФСБ-ს ყოფილი აგენტის) მოწამვლის შესახებ.

ამ „საუკუნის მკვლელობამ“ შეძრა დიდი ბრიტანეთი, მაგრამ 10 წელი დასჭირდათ იმისათვის, რათა ასეთი ფილმი გაეშვათ BBC-ს ეთერში.

ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მკვლელში, ამჯერად, ანდრე ლუგოვოი ან ლიტვინენკოს სხვა ექს-კოლეგები კი არ იგულისხმება, არამედ ის, ვინც მათ ზესაიდუმლო, უიშვიათესი რადიოქტიური ნივთიერება ჩააბარა საჯარო მკვლელობისათვის!

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველო, პირველად ბოლო 25 წლის განმავლობაში, აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც მას რაიმე მკვეთრი მოძმედება ან განსაკუთრებული აქტიურობა არც მოეთხოვება: საკმარისია ფრთხილი თამაში ძადრაკის დაფაზე და შეცდომების არდაშვება. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად მოვიგებთ, რაკი ამჯერად „თეთრებით ვთამაშობთ“ მაშინ, როდესაც განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ „შავებით ვთამაშობდით“.

დავით ავალიშვილი,
ХО-ЭПВ-ЭНО

◎ ამერ-იმერი

პიარტექნოლოგიების წყალობით აჭარაში ტურისტების მასა

2015 წელს აჭარაში ტურისტების 2,78-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ მამუკა ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, გასულ წელს რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით დეპარტამენტი 9 სამიზნე ქვეყანაში ახორციელებდა აქტიურ პიარ და მარკეტინგულ კამპანიებს, რაც თავის მხრივ როგორც გარე და ონლაინ რეკლამებს, ასევე რეგიონში ინფო ტურების ორგანიზებას ითვალისწინებდა.

სულ, 2015 წელს დეპარტამენტმა 35 საინფორმაციო ტურს უმასპინძლა სამიზნე ქვეყნებიდან, რის შედეგადაც წამყვან მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა 170-მდე სარეკლამო ხასიათის სტატია, ასევე მომზადდა არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი აჭარა-ბათუმის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

„მიმდინარე წელს რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით უფრო მასშტაბური პიარ-კამპანიების წარმოებას ვგეგმავთ ჩვენს სამიზნე ქვეყნებში, რაც აჭარის დღეების მოწყობას დედაქალაქებში, კონკურსებისა და სხვა მსგავსი აქტივობების განხორციელებას გულისხმობს. ვფიქრობთ, მსგავსი კამპანიებით ჩვენი რეგიონის პოპულარიზაცია უფრო გაიზრდება,“ – აცხადებს მამუკა ბერძენიშვილი.

მეტი ყურადღება პანკისელთა ყოფით პრობლემებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე პანკისის ხეობაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნენ.

განათლების სამინისტროს ცნობით, პანკისის ხეობაში 7 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, მათგან ხუთ სკოლაში ეთნიკური ქისტები და ჩეჩნები სწავლობენ, სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, 2015 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა სკოლაში განახორციელა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი – გარემონტდა საკლასო ოთახები, დერეფნები, მოწესრიგდა გათბობისა და წყლის სისტემები, ელექტროგაყვანილობა, საჭიროებისამებრ გაკეთდა გადახურვები, ეზოს შემოღობვა, გაკეთდა ორი ღია სპორტული მოედანი და ორ სკოლაში გარემონტდა სპორტული დარბაზები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჭირო რაოდენობის ახალი მერხების შეტანა ხეობის სკოლებში.

დღეის მდგომარეობით ყველა სკოლაში გამართულია ინფრასტრუქტურა და სკოლები მზადაა სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

ХО-ЭПВ-ЭНО, МЕДИАНЕУСО

◎ პროექტი

ფული უფრო ეფექტიანად რომ დაიხარჯოს

სოფლის მეურნეობის პროექტები 2015 წელს

ეს ბოლო წლებია, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული. იქ დახარჯული სახსრების ნაწილი პირდაპირი სუბსიდიებია, მაგალითად, ისეთი, როგორიც რთვლის ან საწარმოო ციტრუსის შემთხვევაში, ან მცირემიწიანთა დახმარების პროგრამის მსგავსი, რომელიც ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებს და რომელთა მიზნობრიობასაც არაერთი ექსპერტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ფინანსური დანახარჯების მეორე ჯგუფია მიზნობრივი პროექტები. ამჯერად ყურადღებას სწორედ ამ პროექტების წლიურ მაჩვენებლებზე შევაჩერებთ:

პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, 2015 წელს 5 მილიონ ლარამდე დაიხარჯა. პროექტის ფარგლებში სულ 102-მდე ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი, სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება 3 მილიონ 963 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტის დამსახურებაა ის, რომ უკვე გაშენდა 730 ჰა თანამედროვე ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის ბაღი.

აგროდაზღვევის პროგრამა ქვეყანაში აგროდაზღვევის კულტურის დანერგვას ემსახურება, თუმცა ჯერჯერობით განსაკუთრებული წარმატებით არ გამოირჩევა: აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 27 ათასზე მეტი პოლისი; დაზღვეულია, დაახლოებით, 190 მილიონ ლარის 38 სხვადასხვა სახეობის მოსავალი, ჯამში, 23 ათას ჰა-ზე მეტ მიწის ფართობზე. 2014-2015 წლებში 9,934 სადაზღვევო შემთხვევა დაფიქსირდა და ასანაზღაურებელმა თანხამ, დაახლოებით, 14 მილიონი ლარი შეადგინა.

სააგენტოს ინფორმაციით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიმდინარე პორტფელი შეადგენს 10,359 სესხს, ჯამური ღირებულებით — 237მილიონ ლარსა და 105 მილიონ აშშ დოლარს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, 2014-2015 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 28 პროექტი, ჯამური ღირებულებით — 18,8 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 7 მილიონ აშშ დოლარს. გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 11 საწარმო.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს რამდენიმე პროექტში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტში შევიდა ცვლილება და დაემატა ახალი კომპონენტი, შემნახველი და სამაცივრე მეურნეობების თანადაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობას და მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას, რაც ფერმერებისათვის მოსავლის დასაწყობებლად დამატებით ინფრასტრუქტურას შექმნის.

ცვლილება შევიდა ასევე გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში და დაემატა სპეციალური პირობა, რომელმაც დამატებით სტიმული უნდა მისცეს თიანეთის, ყაზბეგის, მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ტყიბულის, შუახევისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებს; ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში დასაშვებია ღვინის, სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი საწარმოების თანადაფინანსება სპეციალური პირობების შესაბამისად, ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში — მხოლოდ ღვინის მწარმოებელი საწარმოს თანადაფინანსება. აღნიშნული რაიონები შეირჩა მათი ეკონომიკურად დაბალი აქტივობის გამო. ამ რაიონებისთვის სააგენტომ გაზარდა თანადაფინანსების წილი და შეამცირა პროექტის მინიმალური ჯამური თანხის ოდენობა.

როგორც ადრე გვითქვამს, ამ პროექტებმა მცირედად გაზარდა სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში. იდეაში ისეთი პროექტები, როგორიცაა „დანერგე მომავალი“ და ა.შ., ეფექტს უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში იძლევიან, თუმცა სუბსიდირების პროექტების არაეფექტურობის დამტკიცებას დიდი დრო არც სჭირდება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ კონფლიქტი

ახლა ჩივიან, თავის დროზე კი...

„ბორჯომი“ , „კოკა-კოლა“ და სხვები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა კომპანიებმა „კოკა-კოლამ“, „ბორჯომმა“, „წყალმა მარგებელმა“ და „კასტელ ჯორჯიამ“ სარჩელი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელეები მოითხოვენ, გაუქმდეს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, წარმოშობს უსაფუძვლო ფინანსურ ტვირთს და ლახავს საკუთრების უფლებას.

მარკირების წესი, რომლის გაუქმებასაც საკონსტიტუციო სარჩელის ავტორები მოითხოვენ, 2015 წლის 1 ნოემბერს ამოქმედდა, თუმცა შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2011 წელს იქნა მიღებული. ფინანსთა მინისტრის ბრძანებულების მიხედვით, არააქციზური საქონლის მარკირების ვალდებულება ეკისრება მწარმოებელს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება: (ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) — 1000 ცალ ერთეულზე 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში; (ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის — 1000 ცალ ერთეულზე 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში. საკონსტიტუციო სარჩელის ავტორები მიიჩნევენ, რომ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას:

სარჩელის ავტორები მიიჩნევენ, რომ, მოსარჩელეების საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა-დარღვევის გარდა, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების წესი დისკრიმინაციულია იმდენად, რამდენადაც ის ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ არაალკოჰოლური სასმელების (მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლების) მწარმოებლებს ეხება და მათთვის სრულიად უსაფუძვლო ფინანსურ ტვირთს წარმოშობს, თუმცა ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ 2015 წლის 1 ნოემბერს ამოქმედებული მარკირების წესი სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან. როგორც შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილემ ვახტანგ ლაშქარაძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ განუცხადა, მარკირების მიზანი აღრიცხვის მოწესრიგება და ფალსიფიკაციასთან ეფექტიანი ბრძოლაა:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ცდილობდა და ცდილობს, რომ ამ ბრძანებულებამ არ შეაფერხოს კომპანიების საქმიანობა, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 1 იანვრამდე მარკირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შემოსავლების სამსახურმა დაფარა. გამოიძებნა სახსრები და 1 აპრილამდე გადაიდო კომპანიების მიერ ამ ხარჯის გაწევა. ასეთი სახსრების მოძიება კვლავ მიმდინარეობს. რაც შეეხება სარჩელს, ამასთან დაკავშირებით სასამართლოში ჩვენ წარმოვადგენთ არგუმენტირებულ პოზიციას“.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, „აქციზური მარკის ნიშანდებით უნდა მოხდეს აქციზური და არააქციზური საქონლის ფალსიფიკაციისგან დაცვა, გამარტივდეს და გაუმჯობესდეს ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვით გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა (კონტროლი) და უშუალოდ ნიშანდების პროცესი“, თუმცა რატომღაც ასეთი რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ არაალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე. იურისტ ლევან ალაფიშვილის თქმით, ამგვარი ნაბიჯით ხელისუფლება ცდილობს პოლიტიკური დაპირებების შესრულების შედეგად შემცირებული შემოსავლების კომპენსირებას.

„ხელისუფლებისთვის ეს სხვა არაფერია, თუ არა ბიუჯეტში ახალი და დამატებითი სახსრების მიღების საშუალება. სხვათა შორის, როცა აქციზი გაზარდეს პირველად, მაშინ ვთქვი, რომ კარგი იქნება, თუკი ბიზნესი იფიქრებს თავისი პოზიციების დაცვაზე, მათ შორის, სამართლებრივი მიმართულებით, იქნებოდა ეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა თუ ლობირება და ადვოკატირება. სამწუხაროდ, მაშინ ბიზნესმა ამჯობინა არა საჯარო და სამართლებრივი კომუნიკაცია, არამედ, სავარაუდოდ,კაბინეტებში შეხვედრები“, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ლევან ალაფიშვილმა, რომლის თქმითაც, ახლა ბიზნესმა დაინახა, რომ ასეთ შეხვედრებს იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც მკაფიოდ არ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა, სასურველი შედეგი არ მოაქვს და, შესაბამისად, მიმართა პრობლემის გადაჭრის საჯარო და სამართლებრივ გზას.

რადიო „თავისუფლებას“ კომენტარისათვის „კოკა-კოლისა“ და „ბორჯომის“ მწარმოებელ კომპანიებს დაუკავშირდა, თუმცა კომპანიების წარმომადგენლებმა სარჩელზე დამატებითი განმარტების გაკეთება არ ისურვეს. სასარჩელო განცხადებიდან კი ირკვევა, რომ, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ე. წ. ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, მარკირებას ახორციელებს შვეიცარიული კომპანია „სიქპას“ შვილობილი კომპანია, რომელმაც, სახელმწიფოსთან დადებული კონტრაქტის თანახმად, გაწეული მომსახურებისთვის უნდა მიიღოს შესაბამისი საფასური. ამასთან, მინისტრის №996 ბრძანების 112-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე შემოსავლების სამსახურისთვის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება 1,000 (ათას) ცალ ერთეულზე 10.00 (ათი) ლარის ოდენობით.

„როდესაც ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ქვეყანა ცდილობს ადმინისტრაციული თუ სხვა ხარჯების მინიმუმამდე შემცირებას, მილიონობით ლარის გადახდა ისეთ სერვისში, რომელიც, ხარჯეფექტურობისა და ოპტიმალური საფინანსო გათვლების მიხედვით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ასეთი ქმედება სახელმწიფო თანხების გაფლანგვის ტოლფასია. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების საზღვარგარეთ გადინება (შვეიცარიული კომპანიისთვის თანხების გადახდის შედეგად) ცუდად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და კიდევ დამატებით დააწვება ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობას, რომელიც ყოველგვარი დამატებითი ფაქტორების გარეშეც საკმაოდ მგრძნობიარედ რეაგირებს მსგავს თემებზე“, — ნათქვამია არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების საკონსტიტუციო სარჩელში.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

მადაიელებს შიმშილით ამოწყვეტა ელით

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ სტივენ ო'ბრაიენმა მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მოხდეს მოსახლეობის ევაკუაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება დაიხოცონ, მათ შორის შიმშილისგანაც. საერთაშორისო ორგანიზაციის „ექიმების საზღვრებს გარეშე" მონაცემებით, ადრე მადაიეში უკვე იყო მსგავსი შემთხვევები. სირიის ხელისუფლება ამას უარყოფს.

ჩრდილოეთს თუ აქვს სამხრეთმა რაღა დააშავაო

ამერიკის ხელმძღვანელობა აპირებს მხარი დაუჭიროს კორეის რესპუბლიკას მის ტერიტორიაზე მხოლოდ სტრატეგიული ბომბდამშენების განთავსების შემდეგ. ოფიციალური წყაროების მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატები არ გაგზავნის კორეის რესპუბლიკაში ბირთვულ საბრძოლო მასალებს, რათა არ დაუშვან შეიარაღების გააქტიურება რეგიონში.

ჩრდილოეთ კორეა ისევ ფანტაზიორობს

სპეციალისტებმა გააანალიზეს რამდენიმე კადრი ვიდეოდან, რომლებიც ჩრდილოეთმა კორეამ გამოაქვეყნა. ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფხენიანმა რედაქტირება გაუკეთა ძველ ჩანაწერს, რათა შექმნას რამდენიმე გაშვების ეფექტი, თუმცა გადაღებული იყო მხოლოდ ერთი. ამ დროს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლი-

კაში გაიმართა მიტინგები წყალბადის ბომბის გამოცდის მხარდასაჭერად.

უკრაინული „კომსომოლსკაია"

გაზეთმა შეიცვალა სახელწოდება და მას ეწოდა „კომუნისტიჩესკაია პარტია ვ უკრაინე". მის რედაქციაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს გამოცემა არასოდეს ყოფილა სრულიად საკავშირო კომკავშირის რუპორი". გაზეთი გვპირდება, რომ დარჩება „ერთგული თავისი ტრადიციებისა" და შეინარჩუნებს ყველა რუბრიკას, მათ შორის ისტორიულ გვერდებსაც.

რუსეთი უკრაინას ელექტროენერგიას არ მიჰყიდის

რუსეთის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება კიევთან ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ აღარ განახლდება. როგორც გაზეთი კომერსანტი წერს, ამის მიზეზი ისაა, რომ უკრაინა ყირიმისთვის დენის მიწოდებას არ აპირებს.

„ჯერჯერობით, უკრაინა უპრობლემოდ უმკლავდება ზამთრის სეზონს, ქვეყანამ რუსული ელექტროენერგიის შესყიდვა ჯერ კიდევ ნოემბერში დაიყვანა მინიმუმამდე, მაგრამ ხანგრძლივი ყინვების ან ნახშირის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში, უკრაინას ენერგობლოკადა ემუქრება", — წერს გაზეთი კომერსანტი.

უკრაინა რუსულ გაზზეც ამბობს უარს. როგორც უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა თავის გადაცემაში „10 წუთი პრემიერ-მინისტრთან ერთად" განაცხადა, უკრაინა რუსულ გაზს მაღალი ტარიფის გამო არ ყიდულობს. "ევროპული გაზი გაცილებით იაფი ჯდება", — აღნიშნა იაცენიუკმა.

პარიზის აეროპორტში ბოინგ-777-ის შასში ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს

ცხედარი აღმოაჩინეს თვითმფრინავის მომსახურების სამუშაოთა შესრულების დროს. დაღუპული პიროვნება ჯერჯერობით დადგენილი არაა. ორლის აეროპორტის წარმომადგენლის სიტყვებით, სხეული გაიგზავნა პარიზის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტში გამოკვლევისათვის. გამოკვლევას საქმესთან დაკავშირებით აწარმოებს საჰაერო-სატრანსპორტო გადაზიდვების ჟანდარმერია.

აფეთქება სტამბოლის ცენტრში

თურქეთის ქალაქ სტამბოლში, სულთანაჰმედის ისტორიულ მოედანზე აფეთქება მოხდა. გამოცემა Hurriyet-ის ცნობით, აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაშავებულები. შემთხვევა ტრამვაის გაჩერების სიახლოვეს მოხდა. ამ დროისთვის აფეთქების გამომწვევი მიზეზი უცნობია. პოლიცია ტერაქტის ვერსიას განიხილავს. ადგილზე სამართალდამცველები და სასწრაფო დახმარების ბრიგადები მუშაობენ. სულთანაჰმედის მოედანი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და მის სიახლოვეს სტამბოლის ბევრი ღირშესანიშნაობაა განლაგებული.

ტერაქტი ბაღდადში

ბაღდადში სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის შედეგად მინიმუმ 17 ადამიანი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ბიბისი ავრცელებს. თავდასხმას წინ უძღოდა სავაჭრო კომპლექსის გარეთ აფეთქება. მოგვიანებით კი, შეიარაღებული თავდამსხმელები შეიჭრნენ სავაჭრო ცენტრში და დაიწყეს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა, აიყვანეს რამდენიმე ადამიანი მძევლად.

უსაფრთხოების სამსახურის თანაშრომლებმა ალყა შე-

მოარტყეს შენობას, შემდეგ კი შიგნით შეაღწიეს. ორმა თავდამსხმელმა ამ დროს თვითმკვლელის ქამარი აიფეთქა, რასაც რამდენიმე მძევალი ემსხვერპლა. კიდევ ორი თავდამსხმელი დაიღუპა ორმხრივი სროლის დროს, ოთხი ტერორისტი კი დააკავეს. ირანის ხელისუფლების ინფორმაციით, ამჟამად სიტუაცია კონტროლქვეშაა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა აიღეს.

ამერიკელებმა ისლამისტებს ფულის სანყობი დაუბომბეს

ამერიკელებმა ისლამისტთა ფინანსური ცენტრი დაბომბეს. წერტილოვანი დარტყმები ქალაქ მოსულზე განხორციელდა, სადაც ისლამური სახელმწიფო დიდი რაოდენობით ნაღდ ფულს ინახავდა. ცოტა ხნის წინ შენობის დაბომბვის ფაქტი ამერიკის შეიარაღებული ძალების სამეთაურო შტაბმაც დაადასტურა. სპეცოპერაციის სხვა დეტალები ამ დრომდე უცნობია.

ერდოღანი: რუსეთს სირიაში ახალი სახელმწიფოს შექმნა სურს

რუსეთს სირიაში ახალი სახელმწიფოს შექმნა აქვს განზრახული. ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. მისივე თქმით, ახალი სახელმწიფო შესაძლოა ლატაკიის ირგვლივ წარმოიქმნას, რომელიც ასადების ოჯახის მშობლიურ რეგიონად ითვლება და სადაც რუსული სამხედრო ნაწილებია ბაზირებული.

პუტინი სირიის შესახებ გულახდილია

რუსეთი სირიის კონფლიქტში მხარს უჭერს როგორც ბაშარ ასადის არმიას, ისე შეიარაღებულ ოპოზიციას, — განაცხადა პუტინმა გერმანულ გამოცემა „ბილდთან" ინტერვიუში. „ჩვენ მხარს ვუჭერთ როგორც ასადის არმიას, ისე შეიარაღებულ ოპოზიციას. ზოგიერთმა მათგანმა უკვე განაცხადა საჯაროდ ამის შესახებ, ზოგიერთი კი ამჯობინებს დუმილს, მაგრამ მუშაობა მიდის", — განაცხადა მან.

პუტინმა უარყო განცხადებები იმის შესახებ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები ბომბავენ ამბოხებულების პოზიციებსა და სამოქალაქო ობიექტებს. „ისინი ყველანი ცრუობენ. ნახეთ, ის მასალები, რომლებიც ამ თეზისს უდევს საფუძვლად. ისინი ჯერ კიდევ იმ დროს გაჩნდა, სანამ ჩვენი მფრინავები ტერორისტების პოზიციების დაბომბვას დაიწყებდნენ და ამას აქვს დადასტურება, მაგრამ ჩვენი კრიტიკოსები ცდილობენ, ეს არ შეიმჩნიონ", — აღნიშნა პუტინმა.

დეკემბრის ბოლოს Amnesty International-ის უფლებადამცველებმა განაცხადეს, რომ სირიაში რუსეთის მიერ სექტემბრის ბოლოდან განხორციელებულმა ავიაიერიშებმა მინიმუმ 200 მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე წაიღო.

„ამერიკელმა მფრინავებმა, მე ვფიქრობ, შეცდომით, რა თქმა უნდა, ავიაიერიში მიიტანეს ავღანეთში საავადმყოფოზე. ხალხი დაიხოცა, ექიმები დაშავდნენ და მათ შორისაც იყვნენ დაღუპულები. ამის შესახებ დასავლურ პრესაში ერიდებიან საუბარს და სწრაფად ივიწყებენ ყველაფერს", — ასე უპასუხა რუსეთის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს პუტინმა ამასთან, სირიის ლიდერის მომავალზე საუბრისას პუტინმა განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში რუსეთმა შესაძლოა, ბაშარ ასადი თავშესაფრით უზრუნველყოს. „ჩვენ ბატონ სნოუდენს მივეცით თავშესაფარი, ეს უფრო რთული იყო, ვიდრე ასადისთვის თავშესაფრის მიცემა იქნებოდა", — განაცხადა პუტინმა.

◎ იარეთ ფეხით!

სატრანსპორტო ხიფათები

ეპიდემიურად **სახიფათო სეზონის დაწყებასთან ერთად ნერვიულობას გრიპზე აცრილებიც იწყებენ. ამის მიზეზი ისაა,რომ ვაქცინაცია გრიპით დაავადებისგან ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევა, ამიტომ ავადმყოფობა კაცს ყველგან და ნებისმიერ დროს შეიძლება შეეყაროს. როგორ უნდა დავიცვათ თავი გრიპისგან?**

თუკი სახლიდან სამსახურამდე ფეხით დადიხართ, ანდა საკუთარი ავტომანქანით მგზავრობთ, ჩათვალეთ, რომ ერთი სადარდებლით ნაკლები გაქვთ, რადგან გრიპით დაავადება საზოგადოებრივ ტრანსპორტში ძალიან ადვილი საქმეა.

მაღალი რისკის აღგილები

სტატისტიკის მიხედვით, ისინი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით რეგულარულად სარგებლობენ, სხვებთან შედარებით გაცილებით ხშირად ავადმყოფობენ. ამას ხელს უწყობს მცირე სივრცეში ბევრი ხალხის თავმოყრა, განსაკუთრებით პიკის საათებში, ასევე სუფთა ჰაერის უკმარისობა, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას.

ამის გარდა, თუკი ავტობუსის გაჩერებაზე ლოდინმა დიდი ხნის მანძილზე მოგიწიათ და შეგცივდათ, ავადმყოფობის მიზეზი შესაძლოა, ესეც გახდეს. არსებობს კიდევ ერთი საფრთხე: ზამთარში ტრანსპორტში ხშირად ხუთვა და სიცხეა, გაოფლიანებაც, შესაბამისად, ადვილია, შემდეგ ქუჩაში გასულისთვის — გაციება.

ჰოდა, **თუკი ავტობუსის სალონში ან მეტროს ვაგონში ერთი ავადმყოფი მაინც არის და ის ცხვირს ისე დააცემინებს, რომ პირზე ცხვირსახოცს ანდა ხელს მაინც არ აიფარებს, მეცნიერთა გათვლით, ჰაერში ერთბაშად ასი ათასი გადამდები მიკროწვეთი წამში 145 მეტრის სისწრაფით გაიფრქვევა! ერთი ასეთი დაცემინების შედეგად კი პიკის საათში ერთბაშად 150 კაცი შეიძლება დაავადდეს! განსაკუთრებით დიდ საფრთხეში კი ავადმყოფისგან 1,5 მეტრის რადიუსში მყოფები აღმოჩნდებიან.**

ხუთი მნიშვნელოვანი წესი, რომელთა დაცვა გრიპს აგარიდებთ

საიმისოდ, რომ ტრანსპორტით მგზავრობისას დაავადებულთა შორის არ აღმოჩნდეთ, საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

1. სახეზე ხელებს ნუ მიიდებთ.

საქმე ისაა, რომ ვირუსები უფრო იოლად ლორწოვანი გარსით ვრცელდებიან, ამიტომ თუკი ჭუჭყიანი ხელით ცხვირს მოიფხანთ, პირს გაიწმენდთ ან თვალს მოიფშვნეტთ, ვირუსი ორგანიზმში ადვილად შეაღწევს.

2. იხმარეთ დაცვის საშუალებები.

სხვათა შორის, ეს შეიძლება იყოს ხელთათმანები და სათვალე. ამიტომაც ეცადეთ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხელთათმანები არ გაიხადოთ, რითაც ავადმყოფობის რისკს მნიშვნელოვნად შეამცირებთ. მაგრამ, თუკი ტრანსპორტში დახუთულობაა და ხელთათმანის გახდა მოგიწიათ, იქიდან გამოსვლისას ხელები ანტიბაქტერიული ნამიანი ხელსახოცით, ან ხელის მადეზინფიცირებელი გელით გაიწმინდეთ.

ასევე შეგიძლიათ სახეზე პირბადე გაიკეთოთ, ოღონდ ეს მხოლოდ სალონში, რადგან ქუჩაში მის ტარებას აზრი არა აქვს. ამასთან, გახსოვდეთ, რომ ნიღაბი მხოლოდ 2-3 საათის განმავლობაში „მუშაობს“, რის შემდგომ მიკრობების „სანაშენედ“ იქცევა, ამიტომაც მისი დროდადრო გამოცვლაა საჭირო.

სათვალე კი თვალების ლორწოვანი გარსის კარგი დაცვაა. მაგრამ, თუ კარგი მხედველობა გაქვთ, თან შემოდგომის ან ზამთრის მოღუშულ დღეს მზის სათვალის ტარება ჭკუაში არ გიჯდებათ, შეგიძლიათ, ეს რჩევა უგულებელყოთ.

3. მოერიდეთ ტრანსპორტში ჭამას.

ჯერ ერთი, ეს წესი არ არის. მეორეც ის, რომ საკვებთან ერთად შესაძლოა, უამრავი ვირუსი გადაყლაპოთ, ამიტომაც უმჯობესია ან სახლამდე მოითმინოთ, ანდა სასაუზმეში შეიაროთ, ოღონდ ჭამამდე ხელი საპნით დაიბანეთ.

4. შესაძლებლობისამებრ დამცემინებლისგან თავი შორს, 1,5-2 მეტრის უსაფრთხო მანძილით დაიჭირეთ.

ცხადია, რომ პიკის საათებში ამის გაკეთება გაგიჭირდებათ, მაგრამ შეგიძლიათ, თუნდაც პირის სხვა მხარეს მიბრუნება, ანდა ცხვირ-პირზე ხელსაწმენდის ან ცხვირსახოცის აფარება, თანაც კარგი იქნება, თუკი მას ევკალიპტის, ჩაის ხის, დაფნის ან კედარის ეთერზეთით, ანუ რომელიმე კარგი ანტისეპტიკოსით დაასველებთ.

კარგი იქნება, ისიც გაითვალისწინოთ, რომ ცხვირის შარფში ან საყელოთი დაფარვა და ამით ვირუსისგან თავის დაცვის მცდელობა არა თუ უაზროა, არამედ ზოგჯერ სახიფათოც კია. საქმე ისაა, რომ თბილი სამოსი არა თუ ვერ ცვლის დოლბანდის ნიღაბს, არამედ თავადვე ხდება ინფექციის აკუმულატორი.

5. ყველაზე კარგი კი ის იქნება, თუ ტრანსპორტით მგზავრობის მაგივრად ფეხით ივლით.

ეს ვირუსებსაც აგარიდებთ და ორგანიზმსაც გააკაჟებს. ხოლო თუ შეგცივდათ, ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიში, რომელიც თან გაგათბობთ და სასუნთქ გზებსაც გაგივარჯიშებთ: სიარულის დროს, ამოსუნთქვისას, სუნთქვა, რამდენსაც შეძლებთ, იმდენ ხანს შეიკავეთ. შემდეგ რამდენჯერმე მსუბუქად შეისუნთქეთ და ამოისუნთქეთ, ცოტა ხანში ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

შპს ვარდნილჰესების კასკადის განმეორებითი განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ (მომდევნო ფასკლების შემდეგ)

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის №9 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტი), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ოპელ ვექტრა	VNV- 724	1998	1103	100	20	10	გალი
2	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	1653	150	30	10	გალი
3	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	551	50	20	10	გალი
4	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	984	100	20	10	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. № GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2016 წლის 8 იანვრის 10 საათიდან 2016 წლის 15 იანვრის 12 სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2016 წლის 15 იანვარს 13 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესების კასკადთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

— რეალიზების შემთხვევაში დღგ-ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო საწყისი ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493.

შპს ვარდნილჰესების კასკადის აუქციონის მომწყობი კომისია

◎ ეროვნული ნაკრები

იგორ კოკოშკოვს ილიას ზუროსი ჩაანაცვლებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ილიას ზუროსი მოიაზრება. Eurohoops.net-ის ინფორმაციით, სწორედ ცნობილი ბერძენი სპეციალისტი ჩაანაცვლებს სერბ იგორ კოკოშკოვს, რომელთან კონტრაქტის გაგრძელებაც აღარ იგეგმება.

ზუროსი, რომელსაც 11 მარტს 50 წელი უსრულდება, საკალათბურთო სამყაროში საკმაოდ ცნობილი კაცია. მისი სამწვრთნელო პიკი 2011 წლის მარტით თარიღდება, როდესაც საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

სწორედ ზუროსის ხელმძღვანელობით ითამაშეს ბერძნებმა 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე, სადაც მე-2 ჯგუფურ ეტაპზე საქართველოსაც გადაეყარნენ და 73:60 სძლიეს. მაშინ ელინებმა ტრავმირებული ზაზა ფაჩულიას და გიორგი ცინცაძის გარეშე დარჩენილი ქართველები ბოლო მეოთხედშიღა „გატეხეს“ და ილიასმა იგორ კოკოშკოვს და მის გუნდს საქებარი სიტყვებიც უძღვნა.

„ვულოცავ საქართველოს. მათ ითამაშეს ორგანიზებული და ლამაზი კალათბურთი. სწორი ფილოსოფია გააჩნიათ. საქართველოსთან საინტერესო შეხვედრა გვქონდა, რომელიც მომავალი მატჩისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ“ — აღნიშნა მაშინ ილიასმა.

საბოლოოდ საბერძნეთის ეროვნულმა გუნდმა მეოთხედფინალს უწია და მომავალ ფინალისტ საფრანგეთთან 56:64 წააგო, შემდეგ სერბეთს 87:77 სძლია, ლიტვასთან კი 69:73 დამარცხდა და ევრობასკეტზე მე-6 ადგილს დასჯერდა.

აღნიშნულის შემდეგ ზუროსმა პოსტზე დიდხანს ვეღარ გაძლო. მის ხელში ბერძნებმა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება ვერ მოახერხეს, რაც მწვრთნელს ძვირად დაუჯდა.

საკლუბო ასპარეზზე ზუროსის განვლილი გზა ასეთია: „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — 2000-02, „საგესე“ (ლიბანი) — 2003-04, „პერისტერი“ (საბერძნეთი) — 2004-05, „არისი“ (საბერძნეთი) — 2005-06, „პარი-ლევალუა“ (საფრანგეთი) — 2006-07, „პანელინოსი“ (საბერძნეთი) — 2007-10, „უალგირისი“ (ლიტვა) — 2011, 2013, “ეფესი“ (თურქეთი) — 2012, „თოფაში“ (თურქეთი) — 2014-15.

გასული წლების განმავლობაში ილიასს ლიბანის ჩემპიონატი, ფიბა-აზიის ჩემპიონთა თასი, ლიტვის ჩემპიონატი და თასი და ბალტიის ლიგა მოუგია, 2010 წელს კი, როდესაც ათენის „პანელინოსს“ ავარჯიშებდა, ევროთასის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

ორიენტირი - რიო

21 ძალაძისა და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობენ მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც სპორტის ახალი სასახლე მასპინძლობს. ერთბაშად ოთხ ხალიჩაზე ეცილებიან ერთმანეთს საპრიზო ადგილებს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. შეჯიბრების ორი სასტარტო დღე დაძაბული და საინტერესო პაექრობებით იყო აღსავსე — სარბიელზე ქვეყნის ყველა წამყვანი ფალავანი გამოდის (ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (57) გარდა — მსოფლიოს ჩემპიონი და საქართველოს შარშანდელი სეზონის საუკეთესო სპორტსმენი მწვრთნელებმა დაასვენეს). ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს ჩემპიონატი სალიცენზიო ტურნირებისა თუ ზაფხულში რიოში წამსვლელი ოლიმპიური გუნდისთვის მთავარი შესარჩევი ასპარეზობაა. ლიდერებმა უმთავრესად შეინარჩუნეს პოზიციები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მათ ახალგაზრდები ჩაენაცვლნენ, რამაც ეროვნულ გუნდში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენცია გაზარდა.



ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა რევაზ ლაშხმა 66-დან 59 კილოში ჩაინაცვლა და იქაც ყველა მეტოქეს სძლია — ზედიზედ დაამარცხა გიორგი ჯანელიძე, ხვიჩა ჭითავა, მურად მიქელაძე, ირაკლი შავაძე და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ლაშხის წონის შეცვლის შემდეგ 66 კილოში სპეციალისტებს ფავორიტად სენაკელი საჩინო დავითაია მიაჩნდათ, მაგრამ მან პირველივე შეხვედრა დათმო სამტრედიელ გოგა გოგიბერაშვილთან, ჩემპიონატი კი ბათუმელმა შმაგი ბოლქვაძემ მოიგო, რომელმაც სენაკელ გიორგი დავითაიას აჯობა. 75 კილოში პაექრობები იმითაც გამოდგა საინტერესო, რომ ფინალში ძმები გიორგი და ზურაბ დათუნაშვილები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გიორგიმ 4:3 გაიმარჯვა.

კვარცხლბეკი

59 კგ. 1. რევაზ ლაშხი (თბილისი), 2. ირაკლი შავაძე, 3. მურად მიქელაძე, რამაზ სურმანიძე (სამივე - აჭარა).

66 კგ. 1. შმაგი ბოლქვაძე (აჭარა), 2. გიორგი დავითაია (სენაკი), 3. ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი), გიორგი კურტანიძე (გარდაბანი).

71 კგ. 1. მინდია წულუკიძე (აჭარა), 2. გიორგი ჯავახია (თბილისი), 3. თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი), გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი).

75 კგ. 1. გიორგი დათუნაშვილი, 2. ზურაბ დათუნაშვილი, 3. ილია გულბათაშვილი (სამივე - თბილისი), გელა ბოლქვაძე (აჭარა).

80 კგ. 1. ნიკოლოზ კელასოვი (აჭარა), 2. თორნიკე ძამაშვილი (გარდაბანი), 3. ლაშა გობაძე (აჭარა), ვარლამ კვარაცხელია (ხობი).

130 კგ. 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო), 2. სანდრო დისამინჯია (თბილისი), 3. ლევან არაბული (მცხეთა), შოთა გოგისვანიძე (ქუთაისი).

თავისუფალ ჭიდაობაში განსაკუთრებით საინტერესო იყო ძველი ლიდერების — დავით მარსაგიშვილისა (86) და დავით მოძმანაშვილის (125) აღზევება. ორივემ ჩემპიონობით ნაკრებში დაიბევა ადგილი.

86 კილოში პირველი ევროპული თამაშებისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორი სანდრო ამირანაშვილი (86) პირველივე წრეში დამარცხდა ირაკლი მწითურთან. სამაგიეროდ, მარსაგიშვილმა იყოჩაღა — ოთხივე მეტოქეს (მარადი ზოიძეს, გიორგი ჩხარტიშვილს, გოჩა ლომთაძეს, ირაკლი მწითურს) სუფთად მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში დიდი ინტერესი გამოიწვია დავით მოძმანაშვილისა და გენო პეტრიაშვილის დაპირისპირებამ. ისინი ბადის ერთ მხარეს იყვნენ და ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მოძმანაშვილმა 9:5 გაიმარჯვა, მერე ფინალში გიორგი მეშვილდიშვილს აჯობა და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

კვარცხლბეკი

57 კგ. 1. ბექა ბუჯიაშვილი (გორი), 2. ოთარ გოგავა (ხონი), 3. რამინ მუთიძე (აჭარა), ლაშა ტალახაძე (ხაშური).

65 კგ. 1. ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი), 2. კონსტანტინე ხაბალაშვილი (გორი), 3. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური), გიორგი ბრეგაძე (ქუთაისი).

70 კგ. 1. დავით ტლაშაძე (გორი), 2. დიმიტრი ბასილაშვილი (ბოლნისი), 3. გიორგი სანოძე (ხონი), თორნიკე კვინიკაძე (ხაშური).

86 კგ. 1. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 2. ირაკლი მწითური (თბილისი), 3. ნოდარ ეგაძე (გორი), მარადი ზოიძე (აჭარა).

125 კგ. 1. დავით მოძმანაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მეშვილდიშვილი (ონი), 3. გენო პეტრიაშვილი (გორი), ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა).

ლექსო ცინცაძე

◎ ვთბ — ლიგა

„ვითა“ ამერიკელებმა გამოაცოცხლეს, თუმცა, მე-15 მარცხს მაინც ვერ გადაურჩა

თბილისურმა „ვითამ“ ვთბ-ლიგაში ზედიზედ მე-15 მატჩი წააგო, თუმცა, არა უწინდელივით — უიმედოდ. ქართული კლუბი ამერიკელმა ახალწვეულებმა — ომარ თომასმა და ანდრე ჯონსმა გამოაცოცხლეს, რომელთაც „ვითას“ მაისური პირველად ფინეთში გამართულ შეხვედრაში მოირგეს.

თბილისური კლუბი ლოიმაას „ბაიზონსს“ ესტუმრა და პირველ მეოთხედში 9 ქულით დაწინაურდა, მეტოქის ფარზე 22 მოხსნით კი სეზონის რეკორდი გაიმეორა, მაგრამ საბოლოოდ 73:89 (25:24, 17:26, 16:17, 15:22) წააგო.

ვითელები პერიმეტრზე სუსტმა თამაშმა (მასპინძლებმა 32-დან 11 სამქულიანი ჩააგდეს, სტურებმა — 21-დან — 3) და მოკლე სათადარიგოთა სკამმა დაღალატა.

ქართული კლუბის ახალ დამრიგებელს ლატვიელ ნიკოლაის მაზურსს განაცხადში 8 კალათბურთელი ჰყავდა. მათგან მაიზერ რევაზაშვილი მოედანზე საერთოდ არ გასულა, ხოლო დავით მაისურაძემ 51 წამი ითამაშა.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მთელმა სიმძიმემ ექვს კალათბურთელზე გადაიარა, ამ ფონზე წარმატებაზე ფიქრი კი ძალიან ძნელი გახლდათ.

„ვითას“ რიგებში 22 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო თომასი იყო, ჯონსმა კი, რომელსაც წამითაც არ დაუსვენია, გუნდს 15 ქულა და 8 მოხსნა შესძინა. 13 ქულა იყო უკრაინელი ცენტრის — კონსტანტინ ანიკეენკოს აქტივში.

მატჩის გმირი „ბაიზონსის“ ამერიკელი ლეგიონერი მარტინ ზენო გახდა, რომელმაც 34 წუთში 26 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

„შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები ისევ გვაწუხებს. მიუხედავად ამისა, დღეს მეტოქისთვის ბრძოლის გამართვა მოვახერხეთ. თომასს და ჩლაიძეს გამოფრენა დაუგვიანდათ და ზედ მატჩის წინ შემოგვიერთდნენ. ჯერჯერობით სათამაშო სქემის აწყობას ვერ ვახერხებთ, რადგანაც ხუთი ხუთზე ვარჯიშისთვის მოთამაშეები არ გვყოფნინ“, — განაცხადა მატჩის შემდეგ „ვითას“ მთავარმა მწვრთნელმა.

ქართული კლუბი ერთადერთია, რომელსაც ვთბ-ლიგის მიმდინარე სეზონში თამაში არ მოუგია. „ვითა“ მომდევნო მატჩს 16 იანვარს ვოლგოგრადში „კრასნი ოკტიაბრის“ წინააღმდეგ ჩაატარებს, 25-ში კი მოსკოვში ტურნირის ლიდერ ცსკა-სთან თამაში ელის.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ოქრიაშვილმა სამედიცინო შემოწმება გაიარა

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და ბელგიური „გენკის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი თორნიკე ოქრიაშვილი კარიერას თურქეთის სუპერლიგის ბინადარ „ესქიშეჰირსფორში“ გააგრძელებს. 23 წლის შემტევმა ახალ გუნდში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, ხოლო კონტრაქტს მხარეები ხელს დღეს მოაწერენ.

ხელშეკრულება საიჯარო იქნება და იგი მიმდინარე სეზონის ბოლომდე გასტანს, ხოლო თუ ზაფხულში კლუბიცა და ოქრიაშვილიც შეჯერდებიან, მაშინ 2.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ თურქული გუნდის სრულფასოვანი წევრი გახდება.

მოგეხსენებათ, აღნიშნული ტრანსფერის შესახებ ბოლო დღეებში არაერთხელ დაიწერა, თუმცა, ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ოქრის“ კარიერაში ახალი გუნდია. ისე კი, თორნიკე ყოფილ გუნდ „გენკში“ 2014 წლის ზაფხულში ჩაირიცხა. ბელგიელები თავიდან მასზე დიდ იმედსაც ამყარებდნენ, მაგრამ ოქრიაშვილმა მოლოდინი ვერ გაამართლა — თუ გასულ სეზონში სასტარტოში ხშირად ხვდებოდა და 2 გოლიც გაიტანა, წელს მხოლოდ 11 მატჩი ითამაშა და მათგან უმეტესობა შეცვლაზე, ბურთი კი არ გაუტანია.

გიორგი შოთაძე

◎ გვირგვინოსანი

ლიონელ მესი: ამაზე ვერც ვიოცნებებდი

2015 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი ლიონელ მესი აცხადებს, რომ წარმოდგენაც არ შეეძლო, კარიერაში ასეთ წარმატებას თუ მიაღწევდა. შეგახსენებთ, რომ ეს ჯილდო არგენტინელმა ვარსკვლავმა უკვე მეხუთედ მოიპოვა — პირველად იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად 2009 წელს აღიარეს.

„ამის წარმოდგენა ყველაზე გაბედულ ოცნებებშიც კი არ შემეძლო. 2009 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, დიდი დრო გავიდა. მინდა ეს ემოციები ჩემს თანამემამულეებთან და „ბარსელონას“ გულშემატკივრებთან გავინაწილო. ისინი ყოველთვის მხარს მიჭერენ და მათი მადლობელი ვარ“ — აღნიშნა მესიმ, რომელმაც კატალონიური კლუბი საკუთარ სახლად მოიხსენია და დასძინა, რომ კარიერის დასრულება „ბარსელონაში“ სურს.

დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულნი:

საუკეთესო ფეხბურთელი ქალი — **კარლი ლოიდი (აშშ);**

საუკეთესო მწვრთნელი ვაჟი — **ლუის ენრიკე („ბარსელონა“);** საუკეთესო მწვრთნელი ქალი — **ჯილ ელისი (აშშ);**

საუკეთესო გოლის ავტორი (პუშკაშის პრიზის მფლობელი) — **ვენდელ ლირა („გოიანენსე“, ბრაზილია);**

განვლილი სეზონის სიმბოლური ნაკრები — **ნოიერი („ბაიერნი“), დანი ალვეში („ბარსელონა“), ტიაგო სილვა („პარი სენ-ჟერმენი“), სერხიო რამოსი („რეალი“), მარსელო („რეალი“), პოგბა („იუვენტუსი“), მოდრიჩი („რეალი“), ინიესტა („ბარსელონა“), ნეიმარი („ბარსელონა“), მესი („ბარსელონა“), რონალდუ („რეალი“).**

მანუჩარ გიორგაძე

◎ ცხოვრების წესი

მუსიკის ჰანგები

ადამიანის ორგანიზმზე მუსიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ეს ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ იცოდა.

გარკვეული მელოდიების მეშვეობით წარსულის დიდი ექიმი თავის ტკივილისა და ეპილეფსიის მკურნალობას ცდილობდა. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ გარკვეული დოზით მუსიკა სრულიად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც სარგებლის მომტანია, ამ საქმეში მთავარია მისი დროისა და მოსმენის ადგილისდა მიხედვით სახეობისა და სტილის სწორად შერჩევა.

სამზარეულოში

მათ, ვინც დიეტაზეა, უმჯობესია საჭმელი მუსიკის თანხლების გარეშე მიირთვან, რადგან გარკვეული მუსიკალური ფონი, თურმე, მადას აღძრავს.

გახდომის მსურველთათვის ჭამის დროს **განსაკუთრებით საშიში ჯაზი და ჰიპ-ჰოპი** ყოფილა. ამ ტიპის მუსიკა თავის ტვინის გარკვეულ ზონებზე მოქმედებს, ამიტომაც აღნიშნული სტილების კომპოზიციების მოსმენისას ნებისმიერი კერძი უფრო გემრიელად გეჩვენებათ, რასაც საჭმლის საჭიროზე მეტი ოდენობით მიღების ცთუნების საფრთხე ახლავს.

იმის მიუხედავად, რომ კლასიკური მუსიკა საჭმლის გემოზე დიდ ზეგავლენას არ ახდენს, მასაც შეუძლია გახდომაზე შემართული კაცისთვის ცუდი სამსახურის გაწევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი რესტორანსა და კაფეში სადილობს. საქმე ის არის, რომ, თურმე, **კლასიკური მუსიკა კლიენტს უფრო ძვირიანი კერძების შეკვეთისკენ უბიძგებს.** ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის მსვლელობისას კაფეს კლიენტებს აკვირდებოდნენ, რომელთაგან ნაწილი საჭმელს მუსიკის თანხლების გარეშე მიირთმევდა, ნაწილი საესტრადო მუსიკას, ნაწილიც კლასიკურ ნაწარმოებებს უსმენდა. აღმოჩნდა, რომ ეს **მესამე ნაწილი სხვებზე მეტად დაიხარჯა, „ჯიბისთვის“ ყველაზე „ზარალიანი“ კი მოცარტის, შუბერტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები ყოფილა.**

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ, ვისაც სადილზე ეკონომიის გაკეთება უნდა და ტანწერწეტობის შელევისა ეშინია, მუსიკა მაინც შეიძლება დაეხმაროს, თუკი მისი საყვარელი კომპოზიტორი ვივალდი გახდება, რომლის მელოდიების ტვინის დანაყრების ცენტრზე ზემოქმედებენ და შიმშილის გრძნობას აქვეითებენ.

საძინებელში

არ გეძინებათ? აბა, სცადეთ და ძილის წინ **ჯაზს ან ფოლკს** მოუსმინეთ. დიდი ბრიტანეთის მეცნიერებმა ხანდაზმულ ადამიანებთან, ვინც უძილობას უჩიოდა, ექსპერიმენტი ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ სრულ სიჩუმეში წოლა მალე დასაძინებლად დიდად გამოსადეგი ხერხი არ არის. თურმე **თვლემა კაცს მაშინ ეძალება, როცა ოთახში დაბალ ხმაზე ჯაზური მუსიკა უკრავს.**

თავისი ბრიტანელი კოლეგების დასკვნას სავსებით იზიარებენ კანადელი მკვლევარებიც. მეტიც: მათი აზრით, **მუსიკის გამორთვა მაშინაც კი არ ღირს, როცა კაცს დაეძინება, რადგან ხმადაბალი მუსიკა ხელს უწყობს მძინარე კაცის მეხსიერების გაუმჯობესებას.** სპეციალისტებმა ტესტების სერია ჩაატარეს: ძილის წინ გამოსაცდელებს რამდენიმე უცხო სიტყვის დამახსოვრებას სთხოვდნენ და აღმოჩნდა, რომ მათ უკეთ ისინი იმახსოვრებენ, ვისაც მუსიკის „თანხლებით“ ეძინა.

სპორტდარბაზში

მუსიკა სპორტული ვარჯიშის დროსაც მშვენიერი სტიმულატორია — ტყუილად როდია, რომ შეჯიბრების წინ პროფესიონალ სპორტსმენებს გარკვეულ მუსიკალურ ნაწარმოებებს ასმენინებენ. ზოგიერთი მონაცემით, ეს მათ შედეგების დაახლოებით 12 პროცენტით გაუმჯობესების საშუალებას აძლევს! **ყველაზე კარგია სტარტამდე ისეთი მელოდიების მოსმენა, სადაც დაბალი ნოტები ჭარბობენ — ბანის კომპოზიციები სპორტსმენს საკუთარი ძალების რწმენას ჰმატებს.**

ვარჯიშის დროს კი უკეთესი ყოფილა სწრაფი, წუთში 100-120 დარტყმის ტემპიანი მუსიკის მოსმენა. ეს სიხშირე გულის შეკუმშვათა რიტმის თანხვედრია, რაც მეცადინეობას უფრო ეფექტიანს ხდის, თავად სპორტსმენი კი ნაკლებად იღლება.

მანქანაში

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ **როცა ავტომანქანის საჭეს ვუზივართ, უმჯობესია, მუსიკის ხმას ოდნავ დავუწიოთ.** მიზეზი ბანალურია: სალონში დაკრული მუსიკის ჟანრი და რიტმი მანქანის ტარებაზე არანაირად არ მოქმედებს, თუმცა კი საყვარელი მელოდიების აყოლას სპეციალისტები მაინც არ გვირჩევენ: თურმე **როცა მძღოლი მღერის, რეაქციის სისწრაფე და ყურადღების კონცენტრაცია უქვეითდება.**

სამსახურში

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **მშვიდი, დაბალ ხმაზე დაყენებული მუსიკა თანამშრომელთა შრომისუნარიანობას, საშუალოდ, 10 პროცენტით ამაღლებს,** თანაც შეცდომათა ოდენობას ამცირებს.

მათთვის, ვინც ყველაფრის მოსწრებას ცდილობს, საუკეთესო მუსიკად კლასიკაა მიჩნეული. ლოგიკურად აზროვნებაში დაგეხმარებათ **ბეთჰოვენის** ნაწარმოებები; მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში — **მოცარტის** მუსიკა; თუკი დაიღალეთ, **ჩაიკოვსკის ან ბახს** მოუსმინეთ, შემოქმედებითად აზროვნებაში **შოპენისა და რაველის** ჰანგები დაგეხმარებიან; მათ, ვისი სამუშაო გამუდმებით სტრესებთანაა დაკავშირებული, აუცილებლად ესაჭიროებათ **შტრაუსის** ვალსები და **შოსტაკოვიჩის** ოპერები, რომლებიც ნერვულ სისტემაზე დადებითად მოქმედებს.

საბნის ძვეშ

თუკი შემოდგომის მოჟამულ ამინდს პლედის ქვეშ ემალებით, **კარგი იქნება, თუ თან პლეერი გექნებათ და რომელიმე სევდიან მუსიკას მოუსმენთ.** აღმოჩნდა, რომ **მინორული მუსიკა სევდას მხიარულ სიმღერებზე გაცილებით უფრო სწრაფად აქარწყლებს:** თურმე სულის ამომღები მელოდიები ემოციების ამონთხევაში გვეხმარება, ხელსაყრელ ფილოსოფიურ ფონს გვიქმნის, რაც საკუთარი გრძნობების, ემოციებისა და განცდების გადაფასების შესაძლებლობას გვაძლევს.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

კოლეგის ხსოვნას

სალომე კეთილაძე

გარდაიცვალა ენერგეტიკის დარგის ცნობილი მუშაკი ქალბატონი **სალომე (ციცო) კეთილაძე.**

1964წ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ელ. ტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო ტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც სამუშაოდ გადაჰყავთ ქარხანა „ელექტროიზოლიტში“ ინჟინრის თანამდებობაზე და, იმავდროულად, მშრომელთა კოლექტივის არჩევით ხდება პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

1982 წლიდან ქალბატონ სალომეს შრომითი საქმიანობა უკავშირდება საქართველოს ენერგეტიკას, მას იწვევენ „საქმთავარენერგოში“ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში სამუშაოდ, სადაც ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ (თავმჯდომარედ მაშინ მუშაობდა გამოჩენილი ენერგეტიკოსი ბატონი იური ჭედია), თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელისუფლების მიერ საქართველოს ენერგეტიკაში გატარებული რეორგანიზაციის შედეგად გადაყვანილი იქნა საქმთავარენერგოს“ ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც 2004 წლამდე (პენსიაში გასვლამდე) მუშაობდა.

ქალბატონმა სალომემ თავის განათლებულობითა და საქმის კარგი ცოდნით, შესამჩნევი კვალი დატოვა „საქმთავარენერგოს“ დიდ კოლექტივში და აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირშიც, სადაც მას აგრეთვე მოუწია მუშაობა. ქალბატონი სალომე გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, რისთვისაც მას მიღებული ჰქონდა მრავალი სიგელი და ჯილდო.

ქალბატონი ციცო (ასე სიყვარულით მიმართავდნენ კოლეგები) გამოირჩეოდა უაღრესი კეთილშობილებით, სისპეტაკით და არაჩვეულებრივი წესიერებით — ყველას ვინც კი ამ შესანიშნავ ქალბატონს იცნობდა და ჰქონდა ურთიერთობა, ძალიან დაგვწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ.

მის კოლეგებსა და ნაცნობებს ისღა დაგვრჩენია, რომ მივუსამძიმროთ მის ძვირფას მეუღლეს — ბატონ იური კაიკაციშვილს საყვარელი მეუღლის იმქვეყნიურ სასუფეველში გარდასვლა.

პანაშვიდი 12, 13 I. დაკრძალვა 14 I, 14 სთ. (მის: 9 ძმის ქუჩა №31 — ყოფილი „მალაკნის ბაზრის“ მიმდებარედ).

კოლეგები

◎ ინფორმაცია

გარიკას კოკა წყალზე გაუტყდა...

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გარიკ ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულმა თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩაზე, თეიმურაზ ბ-ს კუთვნილ ავტომანქანა მისაკუთრების მიზნით გაიტაცა. შემდეგ მოპარული ავტომანქანა დაშალა, ნაწილები და აქსესუარები კი სარეალიზაციოდ გაამზადა.

სამართალდამცველებმა გარიკ ბ. თბილისში, გორგასლის ქუჩაზე დააკავეს. მოპარული და ნახევრადდაშლილი ავტომანქანა პოლიციამ იმავე დღეს კუპრაძის ქუჩაზე აღმოაჩინა. ავტონაწილები და აქსესუარები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ავტომანქანის მფლობელისთვის მიყენებული ზარალის ოდენობამ 14 050 ლარი შეადგინა.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ამინდი

საავტომობილო მოძრაობა ნელ-ნელა აღდგება

საავტომობილო გზების სამ მონაკვეთზე, მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, მოძრაობის სპეციალური რეჟიმი მოქმედებს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ტყიბული-ამბროლაურის მონაკვეთზე, ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია და გადაადგილება ყველა სახის ავტოტრანსპორტისათვის თავისუფალია.

მოძრაობის სპეციალური რეჟიმები მოქმედებს საავტომობილო გზების 3 მონაკვეთზე: თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გაუჩერებლად გავლის რეჟიმში, მხოლოდ ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში ცალმხრივად განხორციელდება.

ინტენსიური წვიმების შედეგად გამოწვეული ზვავსაშიშროების გამო, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კალა-უშგულის მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ამავე გზის ხაიში-კალას მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ზუგდიდი-ხაიშის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

◎ ... რომ საჯარიმო მოედნის ხელაა ჩვენი მამული!

ეს „მარაკანაზე“ მოხდა

როგორც მოგეხსენებათ, შარშან შესრულდა ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ბრაზილიელთა ისტორიული მოსკოვური ვიზიტიდან (3:0). იმავე, 1965 წლის შემოდგომაზე, უფრო კონკრეტულად კი 21 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა საპასუხო ამხანაგური შეხვედრა ფეოლას გუნდთან უკვე რიო დე-ჟანეიროს ლეგენდარულ „მარაკანას“ სტადიონზე გამართა და მრისხანე მეტოქესთან ამჯერად ფრედ — 2:2 ითამაშა. (გოლები: გერსონი, პელე; ბანიშევსკი, მეტრეველი). თუ ლუჟნიკებში სწორუპოვარი გარინჩა სამხრეთამერიკელთა თავკაცმა მაყურებელთა დაჟინებული თხოვნით მხოლოდ ბოლო 20 წუთში შეიყვანა მინდორზე, მეორე მატჩში საერთოდ განაცხადს მიღმა დატოვა, არადა, „ხალხის სიხარულის“ ოსტატობით (უფრო სწორად — დიდოსტატობით) კიდევ ერთხელ დასატკბობად ტრიბუნებზე 123-ათასიანი „ტორსიდა“ იყო შეკრებილი.

გუშინ იმ დაუვიწყარი სპექტაკლების მონაწილის მიხეილ მესხის დაბადების დღე იყო. ვფიქრობთ, მკითხველს დაეინტერესებს მტკვრისპირელი გარინჩას მიერ ყავის ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩემთვის გაზიარებული შთაბეჭდილება:

„ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა ფეხბურთის მეფეს ბურთი ფეხებშუა გავუძვრინე, პელე ერთბაშად ახარხარდა, სირბილით წამომეწია, ზურგზე შემახტა და კოცნა დამიწყო, ქომაგთა შორის კი სიცილ-კისკისი ატყდა. შოტლანდიელმა მსაჯმა კევინ დანგლასმა წესების დარღვევა დააფიქსირა და წარმოდგენაც ამით დასრულდა“.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევას მოულოდნელი გაგრძელება საფინალი სასტვენის შემდეგ მოყვა. კერძოდ, აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი, მაშინ ჯერ კიდევ სენატორი რობერტ კენედი იმდენად მოიხიბლა ნანახით, რომ პოლიციელთა საპატიო ესკორტის თანხლებით გასახდელში ჩაბრძანდა, პირდაპირ მიშასკენ გაემართა და თარჯიმნის მეშვეობით გამოხატა მადლიერება — **იმდენად აღტაცებული ვარ მომხდარით, რომ პირადად მსურს თქვენი გაცნობაო.** მოკლედ, ერთ-ერთმა იქაურმა რეპორტიორმა მათი ხელის ჩამორთმევის კადრი ფირზე აღბეჭდა და ეს ფოტო დაიბეჭდა ჩემს წიგნში „ვარდები მიხეილ მესხისთვის“, რომელიც გამომცემლობა „სამშობლომ“ 2000-იანი ტირაჟით გამოსცა.

შალვა ქირია

სურათებზე: მიხეილ მესხი ცნობილ ფინტს უტარებს ალბერტო პერეირას; პელე 1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ფოტოები ავტორის არქივიდან.

გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი.

გამოიწერეთ:

6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა

SAKARTVELOS
RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

9 იანვარს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები

1. ატამი. 2. ნაჭუჭი. 3. ნაძვნარი. 4. სისტოლა. 5. ბახტრიონი. 6. ბლითი. 7. ქაბაბი. 8. ბადენბადენი. 9. ხერხეულიძე. 10. ყანა. 11. ყიშლაღი. 12. ხონჩა. 13. თეტა. 14. ჭურვი. 15. ჭანჭური. 16. ნივნივა. 17. ჯანი. 18. ტუია. 19. გოთუა. 20. პინოჩეტი. 21. ნარი. 22. ჭინკა. 23. ერნესტ. 24. ჭონქაძე. 25. ნათესავი. 26. ნიყვი. 27. აშერი. 28. ლაბა. 29. აყირო. 30. კოფთა. 31. მანდარინი. 32. პილატე. 33. პირლო. 34. დერეფანი. 35. დო. 36. ფარი. 37. ტეფი. 38. სავანეთი. 39. სიმღერა. 40. მორე. 41. მუდამ. 42. სტროფი. 43. ტუში. 44. ფანი. 45. ბორი. 46. სვეტლანა. 47. ტენცო. 48. სარატოვი. 49. გოლფი. 50. ურუგვაი. 51. ვოლვო. 52. ლანა. 53. რიჩი. 54. ბუშიდო. 55. ბუშელი. 56. კვარი. 57. ჩაფარი. 58. პალანკინი. 59. პოლისი. 60. კინი. 61. ანონსი. 62. კულისიე. 63. პროპილისი.

◎ ინფორმაცია

ნარმანიას მოადგილემ თანამდებობა დატოვა

თბილისის მერის მოადგილემ გიორგი სოლომონიამ თანამდებობა დატოვა. აღნიშნულ პოსტს იგი 2014 წლის აგვისტოდან იკავებდა.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, გიორგი სოლომონია თანამდებობიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა.

რეკლამა
293-37-87, 599797679

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— როგორ გახდით მილიონერი?
— ცოლის წყალობით.
— ?!
— მაინტერესებდა, როდის, რომელ ეტაპზე მიატოვებდა იგი წუწუნს ფულის ნაკლებობაზე.
— მერე როდის მიატოვა?
— ვინ გითხრათ, რომ მიატოვა?

* * *

— როგორ შევაჯვაროთ ღორი და ძროხა?
— ხორცსაკეპის მეშვეობით.

* * *

— რა ქენი, სკოლაში გამოგიძახეს?
— ეკითხება მამა შვილს.
— ჰო, გამომიძახეს. ხვალ შენც გამოგიძახებენ!

* * *

ახალგაზრდა ქალი, რომელიც გასასინჯად გინეკოლოგთან მივიდა, გახდისას ექიმს ეკითხება:
— სად დავდო ტანსაცმელი?
— ჩემი ტანსაცმლის გვერდით დააწყვეთ.

◎ კადრი

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!